პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და ს.რ. საბ. მ., გ. წ. არ და წარმ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-3 სართული

რედაქტორთან საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დილის 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76. მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—40

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

დღიური

გერმანიის მთავრობამ პროტესტი განუცხადა საფრანგეთის მთავრობას რურის ოლქიდან რეიხსტაგის და მთავრობის ყოფილ წევრების გადასახლების გამო.

იტალიის კათოლიკურ პარტიის თაოსნობით არსდება თეთრი ინტერნაციონალი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული კომუნისტურ ინტერნაციონალთან ბრძოლა.

შავი ჭირი საშიშ სახეს ღებულობს მთელ ინდოეთში.

რურის ოლქში საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი ახალ მკაცრ ზომებს ღებულობს მცხოვრებთადმი.

ბელგია და საფრანგეთი სავსებით შეთანხმდენ გერმანიის განადგურების საკითხში

№ 85 სამშაბათი, 17 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 85

Библиотека

№247

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენის ამბები

ლენის მუშების დახვრეტიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში.

1905—6 წლების რევოლიუციის დამარცხების შემდეგ პროლეტარიატს დაეუფლა ერთგვარი უიმედობა და სასოწარკვეთილებაც კი.

აღვირახსნილი რეაქცია, გათამამებული პირველი რევოლიუციის დამარცხებით და ანთებული უსაზღვრო შურისძიებით „გათავხედებულ" მშრომელ მასსების წინააღმდეგ, ყველა მის განკარგულებაში არსებული საშუალებებით ცდილობდა „ჭკუა ესწავლებია" მუშებისათვის, დაექსაქსა ისინი ორგანიზაციულად, გაეტეხა სულიერად, უფრო გაეძლიერებინა მათი ეკონომიური ექსპლოატაცია და წაერთმია მათთვის შემდეგში რევოლიუციონურ ბრძოლის ხალისი და ენერგია. ამისთვის ფეხზე იყო დაყენებული მეფის პოლიცია და ჟანდარმერია, ამისთვის კაპიტალისტები თვითმპყრობელური აპარატის დახმარებით დაუზოგველად სჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ მუშებს.

მუშების ორგანიზაციული დარაზმვა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა სასტიკ რეპრესიების გამო. მუშებს არ ჰქონდათ საშუალება ხმის ამოღების, შეკრების თვიანთი ელემენტარული ადამიანური უფლებების დასაცავადაც კი. მათ უცერემონიოდ ყრიდნენ ციხეებში, ასახლებდნენ ცივ ქვეყნებში, აწამებდნენ, ხვრეტდნენ. ყველგან განუკითხავი ძალადობის და ტერორის ატმოსფერა იყო გამეფებული მშრომელ მასსებზე.

ასეთი პოლიტიკური რეაქციას მაქსიმალურად იყენებდნენ კაპიტალისტები, ფაბრიკა-ქარხნების პატრონები. ისინი უკიდურესობამდე ყვლეფდნენ დაქირავებულ შრომას, ადიდებდნენ სამუშაო დროს, ამცირებდნენ ხელფასს, ქმნიდნენ შრომისათვის აუტანელ პირობებს.

ასეთი ჯოჯოხეთი ტრიალებდა რეაქციის მძვინვარების დროს მეტი თუ ნაკლები სიმწვავით და მასშტაბით მთელი რუსეთის სივრცეზე.

მაგრამ ამ შავბნელი რეაქციის ყველაზე უფრო საზარელი გამოხატულება ლენის ამბები.

ლენის მაღაროებში, რომელიც იმყოფება შორეულ ციმბირში, მიყრუებულ მიდამოში, რკინის გზაზე ორი ათას ვერსზე დაშორებით, თერთმეტი წლის წინედ, 1912 წლის 17 (4) აპრილს მოხდა უაღრესად აღმაშფოთებელი ამბავი.

ლენის ოქროს სამრეწველო მაღაროების მუშები საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი. მათ ეძლეოდათ ისე მცირე სამუშაო ხელფასი, რომ პირდაპირ მშიერ-მწყურვალნი იყვნენ. სურსათ-სანოვაგე იძულებული იყვნენ მაღალ ფასებში შეეძინათ იმ დუქნებში, რომელიც ეკუთვნოდა მაღაროების პატრონებს. ამასთან მუშები ცხოვრობდნენ ბნელ და ყოველგვარ ჰიგიენურ-სანიტარულ პირობებს მოკლებულ სადგომებში, რომელიც აშენებული იყო მაღაროებთან ამ უკანასკნელების მფლობელების მიერვე. ფიზიკურად დაუძლურებულ ხალხს ამუშავებდნენ უმოწყალოდ. გამოსავალი არსაიდან სჩანდა. მაღაროების ადმინისტრაციას, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მეფის სახელმწიფო აპარატი, მუშები მომწყვდეული ყავდა თავის სისხლიან კლანჭებში.

მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მუშებმა გადასწყვიტეს წარედგინათ ადმინისტრაციისათვის მოთხოვნა თვიანთი ყოფა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ. ადმინისტრაცია მუშების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აჭიანურებდა, ამავე დროს კი მას გამოეწვია მახლობელ ქალაქიდან ჯარი მუშების ასალაგმავად. ჯარის ჩამოსვლისთანავე მუშების დელეგაცია დაპატიმრებულ იქნა. მუშები გაემართნენ ადმინისტრაციისაკენ მოთხოვნით თვიანთი წარმომადგენლების განთავისუფლების შესახებ. საპასუხოდ მათ ჯარმა თოფები დაუშინა. მოკლულ იქნა 270 მუშა, დაჭრილი 250. დაჭრილნი ბედის ანაბარა ეყარნენ, საექიმო დახმარება მათ არავინ აღმოუჩინა და მათი უმრავლესობა დაიღუპა.

ასე მხეცურად მოეპყრო მუშებს მეფის ხელისუფლება და ბურჟუაზია მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გაბედეს და არსებობის მინიმალური შესაძლებლობის უფლება მოითხოვეს.

ლენის მუშების დახვრეტის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელი რუსეთის პროლეტარიატს. ბოლშევიკურმა „პრავდა"-მ გამოუშვა სამგლოვიარო ნომერი, რომლის პირველ გვერდზე არაფერი ეწერა, მხოლოდ მსხვილად მოთავსებული იყო თავისთავად მეტყველი ცნობა: ლენის მუშების დახვრეტა. მოკლულ იქნა 270 მუშა. დაჭრილი 250. ლენის ტრაგედიამ საშინლად ააღელვა რუსეთის მუშათა კლასი, შეურიგებელი ბრძოლის ცეცხლი და შურისძიება აღუნთო მას სულთამხუთავ ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ყველგან გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლიუციები. პირველი რევოლიუციის შემდეგ დაბეჩავებული და წელში გატეხილი პროლეტარიატი კვლავ აღსდგა და მან საბრძოლველად იწყო დარაზმვა.

ფეხზე დამდგარ მუშათა კლასის ორგანიზაციას მეთაურობდა ერთადერთი რევოლიუციონური პარტია—ბოლშევიკების პარტია. რაც შეეხება დანარჩენ „სოციალისტურ" პარტიებს, მათ ბევრი ხანია წესი აუგეს მშრომელ მასსების გამარჯვების საქმეს, თვით 1905 წლის რევოლიუცია, მაშინ მუშათა კლასის შეიარაღებული გამოსვლები მათ პლეხანოვის პირით დიდ შეცდომად გამოაცხადეს, ისინი შეუდგნენ ლიკვიდატორობას, პროლეტარიატს ჩაჩიჩინებდნენ ბურჟუაზიასთან შერიგებას და გულს უცრუებდნენ მას ახალი რევოლიუციის შესაძლებლობაზე.

მათ უეჭველად დიდი დანაშაული მიუძღვით მუშათა კლასის რევოლიუციონურ განწყობილების დაქვეითებაში, რაც მოყვა პირველი რევოლიუციის დამარცხებას.

მაგრამ პროლეტარიატი დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ არა „მშვიდობიანი" გზით, არა ბურჟუაზიასთან შერიგებით, არამედ რევოლიუციით, მეფის რეჟიმის და ექსპლოატატორების სრული მოსპობით შეიძლება მისი კეთილდღეობის შექმნა, მისი სრული განთავისუფლება.

ლენის ამბები იყო ის სიგნალი, რომელმაც თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული პროლეტარიატი კვლავ ფეხზე დააყენა, რევოლიუციონური მოქმედების ურყევი გადაწყვეტილება და დაუძლეველი წყურვილი შთაუნერგა და აღუძრა.

ლენის ამბებით გამოღვიძებული პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა და ითრევდა თავის სფეროში სულ უფრო მეტ მასსებს. მხოლოდ მსოფლიო ომმა, უმთავრესად სოციალ-მოღალატეების წყალობით, დროებით შეაჩერა ეს ზრდა რევოლიუციონურ ტალღის.

მაგრამ ეს „პატრიოტული" გატაცება მუშათა კლასისა არ გამოდგა ისეთი მტკიცე და დაუძლეველი, რომ მას იგი საბოლოოდ ჩაეთრია თავის ჭაობში.

ბოლოს რუსეთის მშრომელ მასსამ შეიცნო თავისი თავი, და როცა დადგა ხელსაყრელი პირობები, ერთი მძლავრი დაკვრით გააცამტვერა მეფის რეჟიმიც, ბურჟუაზიის ბატონობაც და სოციალ-შეთანხმებლებიც.

რუსეთის მუშათა კლასის ამ გამარჯვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ლენის დაღუპულ მუშებსაც. მათი ძვლები დაეგო საძირკვლად საბჭოთა რესპუბლიკას, მათმა უმანკო სისხლმა გააპოხიერა ნიადაგი შრომის სუფევის დასამყარებლად.

მათ ღვაწლს პროლეტარიატი არასოდეს არ დაივიწყებს. მან უკვე ღირსეული შური იძია მათი ჯალათების წინააღმდეგ და ის ეხლა მაგარი ნაბიჯებით მიემართება წინ მშრომელთა ბატონობის განმტკიცების გზაზე.

ლენის მუშების დახვრეტის თერთმეტი წლისთავზე პროლეტარიატი კვლავ სდებს აღთქმას მის დაღუპულ ძმების წინაშე, რომ ის ამ გზას არ გადაუხვევს და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

ძვირფას მცენარეთა კულტურისათვის

საქართველოში უძველეს დროიდგან გავრცელებული იყო ძვირფას მცენარეთა კულტურა. ზოგიერთი გადმოცემით საქართველო ვაზის სამშობლოთ ითვლება და ყოველშემთხვევაში მევინეობა,—მევინეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენში ფეოდალიზმის დროს და მის წინათაც,—აგრეთვე მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და ზოგიერთი სხვა ძვირფასი კულტურა საკმაო ფართო მასშტაბით იყო გავრცელებული უხსოვარ დროიდან. გეოგრაფიული და კლიმატიური პირობები ამის საშუალებას იძლეოდენ და მეოცე საუკუნის დასაწყისში ძვირფას მცენარეთა კულტურამ ფართო ხასიათი მიიღო საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირეზე. მსოფლიო და განსაკუთრებით რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებები ამ კულტურის ნაწარმოებებზე ხელს უწყობდენ მისი კულტურის გაფართოება-გავრცელებას. პურის რაოდენობა რუსეთში ამ დროს იმდენად დიდი იყო, რომ ის ადვილათ და მეტად ხელსაყრელ პირობებში აკმაყოფილებდა ამიერ-კავკასიის ბაზარს. ამნაირათ მევენახეობა-მეღვინეობას, მეხილეობას, თამბაქოს მოშენებას, მეაბრეშუმეობას, დაფნის და შავი ზღვის პირათ მდებარე ადგილებში ჩაის, მანდარინების, ბამბუკის და სხვა ტროპიკულ მცენარეულობის კულტურას ფართო პერსპექტივები ეშლებოდა წინ. ამ ხასიათის კულტურის წარმოებას განსაკუთრებული მომზადება, ცოდნა გამოცდილება ესაჭიროება და მას უკვე ითვისებდა მშრომელი გლეხობა. არსებობდენ საცდელი სადგურები, ბაღები მეურნეობის ამ დარგის გავრცელების მიზნით.

მაგრამ სამწუხაროდ, მსოფლიო ომმა, რევოლიუციამ და განსაკუთრებით შემდეგ მასზე მოყოლებულმა რუსეთისგან ჩამოშორებამ ძირიან ფესვიანად გაანადგურა სასოფლო მეურნეობის ეს დარგი და უკანასკნელ დრომდე იმედებიც დაკარგული იყო მის აღდგენის შესახებ. ერთი მხრივ ომის და რევოლიუციის პერიოდში კიდეც რომ ბევრი ყოფილიყო ასეთი ნაწარმოები, მათი გასაღება, ფულად ქცევა შეუძლებელი იყო მსოფლიო ბაზრიდან და შემდეგ რუსეთის ბაზრისგანაც მოწყვეტის გამო. მეორე მხრივ პურეულობის ისეთი სიმცირე იყო და ფასები ისე საზღაპროდ იზრდებოდნენ, რომ შეუძლებელი იყო სხვა რამეზე ფიქრი, გარდა პურისა და სიმინდის მოყვანა-მოშენებისა. მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის დროს, როდესაც „ჟერარდის ბისკვიტები"-ს შემადგენელ ნაწილების გამოკვლევა ქიმიკოსებსაც კი უძნელდებოდათ და ყოველ შემთხვევაში ასეთ საზრდოს მეტად უარყოფითი შედეგები ქონდა სახალხო ჯანმრთელობისთვის, ბევრისთვის ასეთი „ბისკვიტებიც" სანატრელი იყო.

ასეთი პირობები, რასაკვირველია, მეტად არა ხელსაყრელი იყვნენ ძვირფასი კულტურის განვითარებისათვის, მათ კიდეც გამოიწვიეს სასოფლო მეურნეობის ამ დარგის დაცემა და განადგურება. მენშევიკების საერთო ეკონომიურმა პოლიტიკამ და ზოგიერთ ნაწარმოებთა მიზანშეწონილმა მონოპოლიამ კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა, შეამცირა ამ ხასიათის კულტურათა სივრცის რაოდენობა. დაეცა მეთამბაქოება, მეაბრეშუმეობა, სხვა ტროპიკულ მცენარეულობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მეტათ არა სახარბიელო მდგომარეობაში იყო მევენახეობა. ბევრგან საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ გლეხობამ ვენახების გაჩეხვასაც კი მიყო ხელი. მდგომარეობა კატასტროფიული იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან საქართველოში და ამიერ-კავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა თანდათანობით; საქმის თავიდანვე გამობრუნებას ხელი შეუშალა 1921 წლის მოუსავლობამ, მაგრამ გასული წლის მოსავალმა მთელ საბჭოთა ფედერაციაში მოგვცა საკმაო მარაგი ხორბლეულობისა არა თუ მარტო წლიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ შესაძლო გახდა მარაგის შენახვა მომავალისათვის და მსოფლიო ბაზარზე გატანაც კი. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, მიმდინარე წლის ნათესების მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში კარგ მოსავლის იმედებს იძლევა. ამნაირათ პური და სიმინდი საკმაო რომ არ მოვიდეს საქართველოში, მათი შემოტანა რუსეთიდან მაინც ხელსაყრელ პირობებში მოხდება ეკონომიური ურთიერთობის და ტრანსპორტის აღდგენის გამო.

ამასთან ერთად როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო ბაზარზე იზრდება მოთხოვნილება ძვირფასი კულტურის ნაწარმოებებზე და მაშასადამე იქმნება ობიექტიური პირობები ძვირფასი კულტურის აღდგენისათვის.

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირზე ამას წინედ კიდეც საგანგებო ქონდა მიქცეული ყურადღება ამ საკითხს და მიღებულია ზომები ამ კულტურის აღორძინება განვითარებისათვის.

იქ, სადაც ხელსაყრელი პირობებია მეაბრეშუმეობისათვის, მეთამბაქოეობისთვის, მეფუტკრეობისთვის, მეხილეობისთვის, ჩაის, მანდარინის და სხვა ძვირფას ტროპიკულ მცენარეთა კულტურისთვის, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ მათ აღდგენას და გაზრდას. მევენახეობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ხელაღებით თავი დავანებოთ პურეულობის ნაწარმოებთა დამზადებას. ძვირფას მცენარეთა მოვლა-გაშენებისთვის და საზოგადოთ მეურნეობის ზევით მოხსენებულ დარგითა განვითარებისთვის საქართველოში ყველგან არ არის ბუნებრივ-კლიმატიური პირობები, და არც ცოდნა გამოცდილება არის მშრომელთა ფართო მასსებში. ამიტომ ძირითად მეურნეობის დარგთან ერთად უნდა ვაწარმოოთ ძვირფასი კულტურის აღდგენის მუშაობა. აგრონომიულ დახმარებამ საზოგადოთ რაციონალურ მეურნეობის და კერძოდ ძვირფას მცენარეთა კულტურის აღდგენის საქმეში უნდა ითამაშოს უდიდესი როლი. მასთან ყველა ცენტრალურმა, ადგილობრივმა მთავრობის და კოოპერატიულმა ორგანოებმა ხელი უნდა მოკიდონ სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეს. კერძოდ ძვირფას მცენარეთა კულტურის აღორძინება - აყვავების საქმე გაცილებით მეტ შრომა ენერგიას, მეცნიერებასთან შეკავშირებულათ გამოსვლას მოითხოვს. ცოდნა-გამოცდილება, დაკვირვება განსაკუთრებით ძვირფასი კულტურის აღდგენის საქმეშია საჭირო, მაგრამ ეს მორიგი ამოცანა არის ეკონომიური ცხოვრების მიერ ნაკარნახევი და უნდა შევსძლო მისი უნაკლულოთ გადაჭრა. საქართველოს სასოფლო მეურნეობის ძვირფასმა ნაწარმოებებმა გზა უნდა გაიკვლიოს მსოფლიო და რუსეთის ბაზრისკენ.

ბ.

რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში

უკანასკნელ დღეების განმავლობაში გერმანიამ განიცადა 1920 წ. მარტის ცნობილი კაპის დღეების განმეორების მაგვარი მოვლენა. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის, სოციალისტის ზევერინგის განცხადების თანახმად, რეაქციონური პარტიები ამზადებდენ აჯანყებას და თავდასხმას მთელ რიგ პირებზე, მათ შორის პირადათ მასზედაც. ამის გამო ერთ ერთი ყველაზე უფრო დიდი მემარჯვენეთა ორგანიზაცია აკრძალული და დათხოვნილი იქნა. რეაქციასთან ბრძოლის შესახებ ბევრს წერდენ, მხოლოდ „ფორვერტსი"და ორი სამი ეგრედ წოდებული დემოკრატიული გაზეთი. მემარჯვენე პრესა, ცხადია წინააღმდეგი იყო ამ კამპანიის; ხოლო კომუნისტურმა პრესამ ღირსეულად შეაფასა ეს გამოსვლა, როგორც საქმის გაზვიადება. მართლადაც სრულებით ვერ არის ყველა ორგანიზაციები დათხოვნილი, ამ ორგანიზაციების დათხოვა—აკრძალვასაც არ აქვს რეალური მნიშვნელობა, რამდენადაც „ჩინოვნიკობა" უფრო და უფრო იჟღინთება ფაშისტების სულით და ივსება მათი დამქაშებით.

ამ ჟამად ფაშისტური ორგანიზაციები კიდევ არ წარმოადგენენ საფრთხეს გერმანიისათვის. თუმცაღა ისინი საკმაოდ არიან შეიარაღებულნი, ჰყავთ კარგი ხელმძღვანელები ყოფილ ოფიცრების წრეებიდან. მათ მნიშვნელობას ასუსტებს ერთსულოვნობის და გარკვეული გეგმის უქონლობა.

გერმანიის რეაქციის ცენტრში, ბავარიაში, მოქმედობს 3 ჯგუფი: პირველს მეთაურობს ყოფილი კრონპრინცი რუპრეხტი, ყოფილი პრეზიდენტი—მინისტრი კარლ და კათოლიკური ცენტრის ხელმძღვანელი გეიმი. ეს ჯგუფი მიისწრაფვის მონარქიულ და სეპერატიულ მიზნებისაკენ. ის ცდილობს ვიტელსბახერების ძველი მონარქიის აღდგენას, ავსტრიის შემოერთებას და ევროპის ცენტრში მნიშვნელოვან კათოლიკურ სახელმწიფოს დაარსებას. ამ ჯგუფს, როგორც სჩანს, დამოკიდებულება აქვს საფრანგეთთან და იძლევა დახმარება უკანასკნელისაგან. ამ ჯგუფის წინააღმდეგ გამოდის, მეორე რომელსაც ელმძღვანელობს ლუდენდორფი, რომელიც პოლიტიკურ სფეროში წინააღმდეგი კათოლიკური გეგემონიის და სეპარატიზმის. მისი მიზანია ბავარიაში ისეთი რეაქციონური არმიის შექმნა, რომელიც აღადგენს ძველ გერმანიას. ლუდენდორფი სასტიკი წინააღმდეგია საფრანგეთთან შეთანხმების და მის გარშემო თავს იყრიან გერმანიის ყველა რეაქციონური ელემენტები, რომლებიც შეფარებული არიან ბავარიაში, და მუშაობენ გერმანიის სხვა ადგილებში მისი ხელმძღვანელობით. ორთავე ამ ჯგუფს შორის გარკვეული პროგრამის გარეშე სდგას ნაციონალისტების ჯგუფი, რომელიც ჯერ-ჯერობით კმაყოფილდება ებრაელების დარბევით და უცხოელების დევნით.

აგროვებენ ისინი თავიანთ მომხრეებს, უმთავრესად, სასოფლო მეურნეობის მუშებს შორის. როგორც ვიცით, კრიზების დაცვის და ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების მიზნით ბავარიაში, ტიურინგიაში და უკანასკნელ დროს საქსონიაშიაც ეწყობა თავდაცვის მუშური ჯგუფები. საქსონიაში სოციალისტების და კომუნისტების ხელშეკრულების ერთი ერთი პირობა იყო სახელდობრ ასეთი ორგანიზაციების დაარსება. მთელი გერმანიის რეაქცია შეშფოთდა ამის გამო.

მაგრამ, მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოსვლა, სანამ ფაშისტების წინააღმდეგ არ იქნებოდა გადადგმული რაიმე ნაბიჯები, თვით ზევერინგსაც შეუძლებლად მიაჩნდა. და აი მისი გამოსვლა „გერმანიის—სახალხო თავისუფალი პარტიის" წინააღმდეგ წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას შემდეგი ნაბიჯისაკენ, მუშათა თავდაცვის შეიარაღებულ ორგანიზაციების აკრძალვისაკენ და რევოლიუციაზე ახალი თავდასხმის შესავალს. რომ ამას აქვს რეალური საფუძველი სჩანს თუ გინდ იმ ფაქტიდან, რომ მეორე დღესვე, პრუსიაში ზევერინგის გამოსვლის შემდეგ, საქსონიის სოციალისტებმა უარი სთქვეს კომუნისტებთან შეთანხმებულ მუშაობაზე მუშათა თავდაცვის ორგანიზაციის სფეროში.

ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ რამდენად არის ფაშისტური ორგანიზაციის აკრძალვა რეაქციისათვის მახვილის ჩაცემა. ხოლო ეჭვი არ არის, რომ ზევერინგის ამ გამოსვლამ, რასაც შედეგად მოჰყვა საქსონიის სოციალისტების მიერ უარის თქმა კომუნისტებთან შეთანხმებით მუშაობაზე, ნამდვილად შეასუსტა რევოლიუცია.

ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ ეხლა სოციალისტი-მინისტრები გერმანიის რეაქციის წინააღმდეგ, შესაძლებელია გადაიქცეს ბრძოლად რევოლიუციის წინააღმდეგ, თუ მუშათა მოძრაობა თავიდან არ აიცილებს ახალ საფრთხეს.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

საფრანგეთ-ბელგიის მინისტრთა გადაწყვეტილება.

ბერლინი. 16 აპრილი. საფრანგეთის ოფიციალური ცნობის თანახმად, საფრანგეთის და ბელგიის მინისტრთა პარიზის თათბირმა დაადასტურა რურის ოლქში ორივე მთავრობების გადაწყვეტილება განაგრძონ მოქმედება, სანამ გერმანია არ გააკეთებს წინადადებას კონტრიბუციის გადახდის შესახებ, ე. ი. სანამ გერმანია არ გადასწყვეტს წავიდეს კაპიტულიაციაზე. უკანასკნელის მისაღწევათ გადაწყდა მიიღონ მთელი რიგი ძალდატანებითი ზომები, სხვათა შორის გააძლიერონ ნახშირის და კოქსის გაზიდვა და უზრუნველყონ საბაჟოთ გადასახადები. „ეკო დე პარი"-ს ცნობით წინასწარ განზრახულია აგრეთვე გააძლიერონ დაკავებულ ადგილებიდან გერმანელ რკინის გზელების გადასახლება.

პუანკარემ გარკვეულათ განუცხადა ტენისს, რომ ლუშერის გამგზავრება ლონდონში მოხდა უკანასკნელის ინიციატივით და მისი განცხადება არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს საფრანგეთის მთავრობას. პუანკარემ აგრეთვე განაცხადა, რომ ის არ იზიარებს ლუშერის ოპტიმიზმს. რადგანაც საფრანგეთსა და ბელგიის დაახლოვების ჟამი ინგლისთან ჯერ კიდევ არ დამდგარა.

გერმანიის პროტესტი.

მოსკოვი. 16 აპრილი. გერმანიის რწმუნებულმა პარიზში მიიღო განკარგულება გადასცეს საფრანგეთის მთავრობას გერმანიის ნოტა, რომელიც შეიცავს პროტესტს რურის ოლქიდან რეიხსტაგის წევრების, ყოფილ მინისტრების გისპერტის და შტეიგერვალდის და სხვების გადასახლების გამო.

შეთქმულებს დახვრეტა.

მოსკოვი. 16 აპრილი. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ გამოაქვეყნეს განკარგულება, რომლის თანახმად ფურცლების და პროკლამაციების გავრცელებისათვის ოკუპაციით დაკავებულ ოლქში შემოღებულია დახვრეტა.

ახალი ძალადობანი.

მოსკოვი. 16 აპრილი. გერმანელ რკინისგზელთა მასები ხელახლა გადაასახლეს რურის ოლქიდან. გერმანიის მთავრობის კომისარი კობლენცში აგრეთვე იქნა გადასახლებული.

საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ ორ გერმანელ მოხელეს მიუსაჯა 5 წლის ციხეში დაპატიმრება და 5 მილ. ფრანკი ჯარიმა იმის გამო, მან უარი განაცხადა ციხეში მოეთავსებია ფრანგების მიერ დაპატიმრებული გერმანელები,

ოკუპაციის გარშემო

მუშების დათხოვნა.

მოსკოვი 16 აპრილი. კომუნალურ ლოზუნგისათვის დამორჩილების გამო რომელიც მოითხოვდა ესსენის შეტაკების დროს დახოცილთა დაკრძალვის დღეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას ესსენის მაღაროების დირექტორმა გორბეკმა დაითხოვა 115 მუშა.

მრეწველები ამცირებენ ნახშირის ამოღებას.

მოსკოვი 16 აპრილი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებმა მოაწყვეს ნახშირის და კოქსის გატანა რურიდან. ამის გამო რურის მრეწველებმა დაადგინეს შეამცირონ ნახშირის ამოღება, რაც საშუალებას მოუსპობს ფრანგებს გაიტანონ ნახშირი. გადასწყდა ამოიღონ ნახშირი ის რაოდენობა, რაც საჭიროა მუშათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

კუნოს განცხადება.

მოსკოვი 16 აპრილი. პარტიის ლიდერებთან თათბირის დროს ბერლინში, რეიხსკანცლერმა კუნომ განაცხადა, რომ გერმანიის ახალ მთავრობას არ აქვს განზრახვა წამოაყენოს ახალი წინადადება რურის და სარეპარაციო საკითხებში. კუნომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გერმანიის მთავრობამ უკვე განაცხადა თანხმობა იუზის პროექტზე, რომელიც გულისხმობს საექსპერტო კომისიის შედგენას გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად. კუნოს განცხადების გამო გაიმართა სოც.-დემ. საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელზედაც დაისვა საკითხი დიდი კოალიციის შედგენის შესახებ. წინადადება უარყოფილ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით.

საფრანგეთი და ბელგია

ფრანგული ცნობა.

პარიზი. 16 აპრილი. საფრანგეთ-ბელგიის პარიზის თათბირის შესახებ გამოქვეყნებული ცნობა ამბობს, რომ დაკავებულ ადგილების საფრანგეთის და ბელგიის უმაღლეს კომისარებს და გენერალ დეგუტს გაეგზავნება განსაკუთრებული ინსტრუქცია მათი მოქმედებისა და ფუნქციების შესახებ. ინსტრუქციის თანახმად დაკავებულ ადგილებში საფრანგეთის და ბელგიის ხარჯების დასაფარავათ ჩამორთმეული ზედმეტი საქონელი და პროდუქტები შეიტანება საალრიცხო სალაროში, შემდეგ ოკუპაციისა და წარმოებათა ექსპლოატაციის ღირებულების გამოკლებით გადაეცემა საკონტრიბუციო კომისიას ცნობაში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ დაკავებული ადგილები არ იქნება განთავისუფლებული მხოლოთ და მხოლოთ გერმანიის დაპირებით, არამედ მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც გერმანია სავსებით შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

პუანკარეს სიტყვა.

პარიზი 16 აპრილი. დიუნკირხენში პუანკარემ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიც სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ არ გვსურს ვინმესი დაჩრობა და არა გვაქვს მოთხოვნილებანი და პრეტენზიები გარდა იმისა, რომ ვცდილობთ მივიღოთ ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის, რათა თავიდან ავიცილოთ ფინანსიური კრახი. ჩვენ ვილით ჩვენი გზით ურყევათ, დაუჩქარებლათ და დამშვიდებული ნერვებით საერთო საქმის გულგრილათ და მეთოდურათ შესასრულებლად. მთავრობა დაამთავრებს დაწყებულ საქმეს დანგრეულ ოლქების სრული აღსადგენათ და საფრანგეთის ასაღორძინებლათ. გერმანია ამაოთ ელოდება ჩვენს რყევას. ჩვენ ვიქნებით ურყევი.

ახლო აღმოსავლეთი

ოსმალეთის დელეგატის გამგზავრება!

ანგორა. 15 აპრილი. დღეს, ღამით ოსმალეთის დელეგაცია გაემგზავრება რიზა ნური-ბეისთან ერთად ლოზანაში. ისმეტ-ფაშა იმყოფება სმირნაში, საიდანაც ის წავა კონსტანტინოპოლში.

ჩესტერის კონცესიის გარშემო.

ანგორა. 16 აპრილი. კონსტანტინოპოლში გენერალ პელლომ პროტესტი განაცხადა ჩესტერის პროექტის მიღების წინააღმდეგ, ამტკიცებდა რა, რომ ეს კონცესია უფრო ადრე ქონდა გადაცემული ფრანგებს. საზოგადო მუშაობის კომისარმა ფევზი-ბეიმ აღიარა ეს პროტესტი უსაფუძვლოთ. „ტევჰიდ ეფკიარ"-ი პროტესტს აცხადებს პროექტის ასე დაჩქარებით მიღების წინააღმდეგ.

ახალი არჩევნების წინაშე.

ანგორა. 16 აპრილი. მომავალი არჩევნები სულ მეტათ და მეტათ იპყრობს ანატოლიის ყურადღებას. ყოველ დღე ხდება „უფლებათა დამცველ კომიტეტის და საარჩევნო კომისიის კრებები. ასახელებენ კანდიდატებს. ქემალ ფაშამ გამოუშვა კონსტანტინოპოლის მცხოვრებთადმი მოწოდება, ურჩევს რა ხმა მისცენ პირველ ჯგუფს რადგანაც არჩევნების შედეგები გავლენას იქონიებს ოკუპაციის ბედზე და არჩევნებში განხეთქილება გამოიწვევს უცხოელების გამხნევებას. „ენი-გიუნი" მიუთითებს იმ გარემოებაზე რომ თუ მთავრობამ არჩევნებში გამოიჩინა სისუსტე, სამხედრო გამარჯვების შედეგები გაუქმდება და ევროპა კვლავ მოისურვებს ოსმალეთის დაპყრობას ქიაზიმ-კარა-ბეკირმა გაზეთების კორესპონდენტებთან საუბრის დროს გამოსთქვა იმედი, რომ არჩევნებში აუცილებლათ გაიმარჯვებს პირველი ჯგუფი, რომელიც ეყრდნობა ეკონომიურ აღორძინებას.

იქნება თუ არა შეკრული ზავი.

ანგორა. 13 აპრილი. პრესის წარმომადგენელთა შეკითხვაზე იქნება თუ არა შეკრული ზავი, ქიაზიმ-კარა ბეკირმა უპასუხა „ზავი დამყარდება, რადგანაც ანტანტას არ შეუძლია აწარმოვოს ომი".

ამერიკის კომპარტიაში

ამერიკის კომპარტიის მოწოდება.

ხარკოვი. 16 აპრ. ამერიკის კომუნისტურმა პარტიამ მიმართა მუშათა პარტიას წერილით, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკის კომპარტიამ 7 აპრილს, ნიუ-იორკის მე-3 ყრილობაზე იცნო ფაქტი მუშათა პარტიის—კომუნისტურ პარტიათ გადაქცევის და კომინტერნთან მიმხრობისა. ამიტომ კომპარტიის ყრილობამ გადასწყვიტა შეუერთდეს მუშათა პარტიას—ერთ-ერთი პარტიის შეერთებულ შტატებში, რომელიც აწარმოებს ბრძოლას კომუნისტურ პრინციპების საფუძველზე. კომპარტია მოუწოდებს შეერთებულ შტატების ყველა მუშებს გაუწიონ დახმარება მუშათა პარტიას და დაექვემდებარონ მის დისციპლინას.

მუშათა პარტია—კომინტერნის ჯარისკაცი.

მოსკოვი. 16 აპრ. ამერიკის მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანმა რუტენბერგმა განაცხადა, რომ პარტია ყველაფერს იზამს იმისათვის, რათა ის გახდეს კომინტერნის ღირსეულ წარმომადგენლათ. შეერთებულ შტატების მუშათა პარტია მასიურათ ხდება და ღრმა ფესვებს იდგამს მუშათა მასებში.

კომუნისტების განთავისუფლება

მოსკოვი. 16 აპრილი. რომიდან იუწყებიან, რომ ქ. ქ. დედდუ და ემილიაში ორი თვის წინეთ დატუსაღებული 26 კომუნისტი განთავისუფლებული არიან.

მეზღვაურთა დახვრეტა

იაპონელთა სიმხეცე.

მოსკოვი. 16 აპრილი. ჩიტიდან იუწყებიან, რომ ვლადივოსტოკიდან იაპონიაში ახლად ჩამოსულ სამხედრო კრეისერზე სამხედრო სასამართლოს გადაეცა შემადგენლობის 17 კაცი, რომლებსაც ბრალი ედებათ კომუნიზმისადმი თანაგრძნობაში. იუწყებიან აგრეთვე ორი მეზღვაურის და ერთი ოფიცრის დახვრეტის შესახებ კომუნისტურ ლიტერატურის გადაზიდვისათვის.

გაფიცულების გასამართლება

მოსკოვი. 16 აპრილი. ლონდონში სასამართლოში მისცეს სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვის 600 მონაწილე, რომელთაც ბრალს სდებენ შტრეიკბრეხერების ტერორში. შტრეიკბრეხერებად გამოდიან აგრონომიული ინსტიტუტის სტუდენტები და აგრეთვე მეპატრონეების და ფერმერების პირადი მეგობრები.

სასოფლო-მეურნეობის მუშების სასაგაფიცვო ფონდი უდრის 4,000 გირ. სტერლინგს. გაფიცვის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ ფერმერების წინააღმდეგობის შესუსტების და ამტკიცებენ, რომ ფერმერების სამი მეოთხედი თანახმაა შემოღებულ იქნეს სამუშაო ხელფასი კვირაში 26 შილინგის რაოდენობით.

თეთრი ინტერნაციონალი

ემზადებიან.

ბერლინი. 16 აპრ. ვენაში მოელიან იტალიის კათოლიკური პარტიის ლიდერის სტურცოს ჩამოსვლას, რომელსაც განზრახული აქვს განიხილოს აქ, უნგრეთის ქრისტიანულ სოციალისტურ პარტიის ლიდერების მონაწილეობით, საკითხი კათოლიკური თეთრი ინტერნაციონალის დაარსების შესახებ. ახლო მომავალში ამ ინტერნაციონალს უნდა დაექვემდებარონ იტალიის სახალხო პარტია და გერმანიის ცენტრი. თეთრი ინტერნაციონალის მიზანია კომინტერნთან ბრძოლა.

სოციალ-გამყიდველების ბანაკში

ძველი გზით.

მოსკოვი. 16 აპრილი. ვენიდან იტყობინებიან, რომ 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების აღმასკომების კონფერენციამ ბრეგენცში დაადგინა ერთხმად წინააღმდეგ მემარცხენე სოციალისტ რევოლიუციონერთა ხმებისა, მიიღონ მონაწილეობა ჰამბურგის კონგრესში ორივე ინტერნაციონალების გაერთიანების საკითხის გადასაწყვეტად.

რუმინია

მოსკოვი 16 აპრილი. რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა გაგზავნოს დელეგატები ჰამბურგის კონგრესზე, იმედოვნებს რა რომ გაერთიანებულ ინტერნაციონალთან შეერთებით განამტკიცებს თავის გავლენას მუშათა მასებზე, რომლებიც სიმპატიით უცქერიან კომუნისტებს. ბურჟუაზიულ ოპოზიციის რიგებში ძლიერდება მოძრაობა, რომელიც ემხრობა სოციალ-დემოკრატებთან ერთიანი ფრონტის შექმნას, რათა შეერთებული ძალით აწარმოვონ ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

მემამულეები არ ცხრებიან

გერმანიის რეიხსტაგში.

მოსკოვი. 16 აპრილი. რეიხსტაგმა მიიღო ბურჟუაზიული პარტიების დეპუტატთა 211 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ სოციალდემოკრატების 146 ხმისა წინადადება ხორბლის პოლიტიკის გაუქმების შესახებ. სოციალ-დემოკრატების წინადადება იმის შესახებ, რომ მემამულეებმა მისცენ სახელმწიფოს ხორბლის განსაზღვრული რაოდენობა ომამდე არსებულ ფასებში, და მის ნაცვლად მიიღონ სახელმწიფოს ხარჯზე მიწის განოყიერება, უარყოფილ იქნა ბურჟუაზიულ პარტიების მიერ. გაზეთი „ფორვერტსი" უწოდებს რეიხსტაგის ამ გადაწყვეტილებას მძიმე თავდასხმას, რომელიც მიმართულია მცხოვრებთა ფართო მასების წინააღმდეგ.

სხვადასხვა ამბები

ინგლისი

საჰაერო მიმოსვლა ლონდონსა და მოსკოვს შორის

მოსკოვი. 16 აპრილი. ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად იქ სწარმოებს მოლაპარაკება მანჩესტერ-ლონდონ-ბერლინის საჰაერო ხაზის მოსკოვამდე გაფართოების შესახებ. პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შემდეგ, ლონდონიდან მოსკოვში გამგზავრებას მოუნდება სამი დღე.

ავსტრია

კომუნისტების პროცესი

მოსკოვი. 16 აპრ. ვენიდან იტყობინებიან, რომ 18 აპრილს დაიწყო უნგრეთის 57 კომუნისტის პროცესი. მათ ბრალს სდებენ აჯანყებაში და სახელმწიფოს საწინააღმდეგო შეთქმულებაში.

კაპიტალისტების იერიში.

მოსკოვი, 16 აპრილი, შტირიის მაღაროების მეპატრონეებმა უარყვეს მუშების მიერ მოთხოვნილი გადიდება ხელფასისა და განაცხადეს, რომ დაითხოვენ მაღაროების მთელ პერსონალს და უარს ამბობენ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე, სანამ მუშაობა არ განახლდება.

გერმანია

ხმები პოლონეთის გამოსვლის შესახებ.

მოსკოვი, 16 აპრილი, ბერლინის გაზეთები იტყობინებიან, რომ პოლონეთი ემზადება ზემო სილეზიის წინააღმდეგ გამოსასვლელად. გაზეთი „ცეიტი" გამოსთქვამს შიშს, საფრანგეთის აგრესიულ მოქმედების გამო ზემო სილეზიის ნახშირის რაიონში. ეს მოქმედება მიმართულია იქითკენ, რათა შეასუსტონ წინააღმდეგობის ტაქტიკა რურში.

გენერალ დეგუტის ბრძანება.

ლონდონი. ესსენის მუნიციპალიტეტმა მიიღო გენერალ დეგუტის ბრძანება, რომელიც აკრძალავს რაიმე სახსრის გაღებას ქალაქში კოქსისა და ნახშირის გადასაზიდავათ, მოკავშირეთაშორისო კომისიის ნებართვის გარეშე.

პროტესტი კუნოს სიტყვის წინააღმდეგ.

ბერლინი. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო საფრანგეთის მთავრობიდან ნოტა, რომელშიც უკანასკნელი პროტესტს აცხადებს კანცლერ კუნოს მიერ რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვის წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობა იმუშავებს საპასუხო ტექსტს საფრანგეთის ნოტაზე.

საფრანგეთი

მინისტრების რიცხვის შემცირება.

პარიზი, 16 აპრილი, ავსტრიის კანცლერს სეიპელს გადაწყვეტილი აქვს შეამციროს მინისტრების რიცხვი 7-დე.

პუანკარეს არ სჯერა.

ბერლინი. 16 აპრილ. „ეკო-დე-პარი"-ს ცნობით პუანკარეს არ სჯერა ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმების სიმტკიცე და ყოველ ღონეს ხმარობს საფრანგეთ-ბელგიის კავშირის განსამტკიცებლათ, რომელსაც ემუქრება ინგლისის პოზიცია.

პოლონეთი.

პოლონეთის განზრახვა.

ბერლინი. 16 აპრილი. ბრუსელის გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონეთის ჯარის კონცენტრაცია ზემო-სილეზიის საზღვარზე, მოასწავებს პოლონეთის შეჭრას გერმანიის ფარგლებში.

17 აპრილს, საღამოს 7 საათზე
დანიშნულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
პრეზიდიუმის სხდომა.
ყველა წევრთა და კანდიდატთა დ სწრება სავალდებულოა.
ს. ს. ც. ა. კ-ის მდივანი პ. ხაბაშვილი.

სამხრეთ-სლავია

სამხრეთ სლავია და ბოლგარეთი. პარიზი, 16 აპრილი, ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სოფიაში მიემგზავრება სამხრეთ სლავიის დელეგაცია, რომლის მიზანია განაგრძოს ნიშში დაწყებული მოლაპარაკება სამხრეთ-სლავიის და ბოლგარეთის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ.

ჩინეთი

იაპონელ საქონლების ბოიკოტი. მოსკოვი, 16 აპრილი, იაპონელ ჟურნალების ბოიკოტი ჩინეთში იზრდება და ფართე ხასიათს იღებს. შ-ნხაის გაზეთები უარს აცხადებენ იაპონელ რეკლამების დასტამბვაზე.

ინდოეთი

შავი ჭირი ინდოეთში. პარიზი, 16 აპრილი, მაშინ როდესაც წარსული წლის მარტში შავი ჭირით გარდაცვალებულთა რიცხვი ინდოეთში უდრიდა 14 000 კაცს, მიმდინარე წელს ეს რიცხვი გაიზარდა 39,000 დე. სიკვდილის შემთხვევა გახშირდა უმთავრესად დეკემბრიდან.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მექრთამეობის ლიკვიდაცია. როსტოვი, 15 აპრ. ჩრდილოეთ-კავკასიის ოლქის რკინის გზებზე მექრთამეობას უკვე ბოლო მოეღებული აქვს. უკანასკნელ თვენახევრის განმავლობაში აღრიცხულია მინერალოვოდსკის რაიონში უმნიშვნელო რაოდენობა წვრილ მექრთამეობისა. წინეთ კი მინერალოვოდსკი მექრთამეობის ბუდედ ითვლებოდა.

წითელი არმია—სოფლის შეფი. მინსკი. 15 აპრ. მინსკის სადივიზიო სკოლამ მიიღო შეფობა სემხოვისა და როდდეცის რაიონებზე. წითელ არმიელები მიემგზავრებიან სოფელში გლეხობისათვის დახმარების გასაწევათ.

უკრაინა.

მომავალი მოსავალი. ხარკოვი. 15 აპრ. თბილი დღეები კარგათ მოქმედებენ მომავალ მოსავალზე. კიევის გუბერნიაში განზრახულია სათეს მიწების სივრცის—1.120.000 დესეტინამდე გაფართოება.

მადლობა დონბასს. ოდესა. 15 აპრ. შიმშილის შედეგებთან ბრძოლის ოდესის საგუბერნიო კომიტეტმა გაუგზავნა დონბასს ნიშნათ მადლობისა წარსულ წელს აღმოჩენილ დახმარებისათვის 3.000 წყვილი საცვალი და 15 ფუთი თამბაქო.

ბანდიტების გასამართლება. ხარკოვი. 15 აპრ. 27 აპრილს უკრაინის უზენაეს სასამართლოში გაირჩევა მახნოს ბანდიტურ ჯგუფის საქმე. ბრალდებულთა შორის იმყოფება მახნოელების მთელი შტატი და მათი უფროსი ბელოში.

უპარტიო მუშათა კონფერენციები. ოდესა. 15 აპრ. ქალაქის ყველა უბნებში გაიმართა უპარტიო მუშათა კონფერენციები, რომლებთაც ცოცხალი ინტერესი გამოიწვიეს მუშათა ფართე მასებში. შრომის სარაიონო ინსპექტორებმა და რაიონულ დამზღვევ კასების გამგეებმა გააკეთეს კონფერენციებზე მოხსენებები თავიანთ მუშაობის შესახებ. მოხსენებებში აღნიშნული იყო მუშათა მედიცინის ზრდა და წარმატებითი ბრძოლა შრომის დაცვის კანონთა დარღვევის წინააღმდეგ კერძო წარმოებაში.

ახალი დებულება ტრესტების შესახებ. მოსკოვი. 14 აპრ. ტრესტების შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის გამოქვეყნების გამო, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. დოლგოვმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დეკრეტის შემუშავებაში, აცნობა „როსტას“ თანამშრომელს, რომ ეს დეკრეტი შეიტანს ერთფეროვნებას ტრესტების დებულებაში. დეკრეტის ძალით, თვითეული ტრესტი წარმოადგენს ჩამოყალიბებულ სამეურნეო ერთეულს, რომელიც აგებულია კომერციულ საფუძველზე და პასუხისმგებელია თავის მუშაობისათვის. ტრესტში თავისუფალი არიან წვრილ ადმინისტრატიულ ოპეკისაგან, მაგრამ ვალდებული არიან იხელმძღვანელონ რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოების გეგმებით და ანგარიში ჩააბარონ მათ. ტრესტების ახალ დებულებაზე გადასვლასთან ერთად მოხდება თვით ტრესტების შემადგენლობის გადასინჯვა. ახალი დებულება გამოყენებული იქნება იმ ტრესტების მიმართ, რომელთა წარმოებების შემადგენლობა წინასწარ იქნება გასინჯული.

ემიგრაცია რუსეთში. მოსკოვი. 16 აპრ. ამერიკიდან რუსეთში ჩამოვიდა რუსეთის ემიგრანტთა ერთი ჯგუფი 200 კაცი, რომელთაც დასტოვეს რუსეთი იმპერიალისტურ ომის დაწყებამდე. დაბრუნებულთა 20 პროცენტი კომუნისტია, ხოლო დანარჩენები თანამგრძნობი არიან. ჩამოსულებმა დაარსეს 6 კომუნა. მათ დაეთმოთ უკრაინაში და დონის ოლქში საბჭოთა მეურნეობანი, სადაც ისინი აარსებენ სასოფლო-სამეურნეო არტელებს კომუნისტურ საფუძვლებზე.

აფერისტების გასამართლება. მოსკოვი. 16 აპრ. მოსკოვში ამ დღეებში უზენაესი სასამართლო გაარჩევს საქმეს იმ პირებისას, რომელთაც ბრალი ედებათ ყალბი სამხედრო ლიტერებით ვაჭრობაში. პასუხისგებაში მიცემულია რკინის გზის სადგურის 12 კასირი და 14 შუამავალი—სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურეები.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მოსკოვი. 16 აპრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საამშენებლო მუშაობა გაცხოველებულია, ამ ჟამად მუშაობაში ჩაბმულია 700 მუშა. ახლო მომავალში მუშათა რიცხვი გაიზრდება 5.000 მდე. საამშენებლო მუშაობა დამთავრდება ივლისის შუა რიცხვებში, რის შემდეგაც დაიწყება ექსპონატების გაწესრიგება.

ახალი გემის აშენება. ნიკოლაევი. 15 აპრ. ნიკოლაევის გემთა აღმშენებელმა ქარხანამ მიიღო შეკვეთა მსხვილ საზღვაო ერთეულისა, რომელიც უზრუნველყოფს მუშაობით ქარხანას ერთი წლისათვის.

საკურორტო სეზონი ყირიმში, იალტა. 18 აპრ. ყირიმში დადგა სიცხიანი სეზონი. ჩამოდიან მრავალთ საკურორტო ავათმყოფები და ექსკურსანტები მოსკოვიდან და პეტროგრადიდან.

3 ჰაეროპლანები გვექნება. როსტოვი. 15 აპრ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული იძენს დაწესებულების ხარჯზე ერთ ჰაეროპლანს. დონის სოოლქო კოოპერატივთა კავშირი აგრეთვე იძენს ორ ჰაეროპლანს.

დახმარება რევოლიუციის მებრძოლთ. გომელი. 15 აპრ. გომელში უკანასკნელ სამ კვირის განმავლობაში შეკრეფილია დასავლეთის პოლიტიკურ ტუსაღთა სასარგებლოთ 80.000 მანეთზე მეტი.

რურის მასწავლებელთა სასარგებლოდ. როსტოვი. 15 აპრ. ნოვოჩერკასკის სახალხო მუშაკთა კონფერენციამ რურის მასწავლებელთა სასარგებლოთ გადასდო ერთდღიური შემოსავალი და გაუგზავნა მათ მისალმებული წერილი ნოვოჩერკასკის მასწავლებელთა სახელით.

კაპელელთა დაბრუნება რუსეთში. ჩიტა. 15 აპრ. გირინიდან საბჭოთა რუსეთში გაიგზავნა კაპელელთა 4 ეშელონი.

ფინანსიური თათბირი
ხარჯთ-აღრიცხვა

ხარჯთ-აღრიცხვა.

მოსკოვი. 16 აპრილი. ფინანსიურ განყოფილებათა გამგეების თათბირზე მოსმენილ იქნა ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. ალსკის მოხსენება ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტი შესდგა 316 მილ. ოქროთი,—შესავალი და 362 მილ. გასავალი, რაც ომამდე არსებულ საერობო ბიუჯეტთან შედარებით უდრის 47 პროც. მთავარ შემოსავლის საგანად ითვლება წარმოებათა გადასახადი და სახელმწიფო ნატურ გადასახადის გადარიცხვა და აგრეთვე ადგილობრივი გადასახადები. შემოსავალი იხარჯება სახალხო განათლებაზე—20 პროც., ჯანმრთელობაზე—15 პროც. ადმინისტრატიულ დაწესებულებათა შენახვაზე—15 პროც. ადგილობრივ ბიუჯეტის დარგში ფინანსთა სახ. კომისარიატი აყენებს საკითხს სახელმწიფო წარმოებათა მიერ საიჯარო გადასახადის შეტანის შესახებ, რაც ხშირად არ ხდება.

„უწმინდესი“ კონტრ-რევოლიუციონერი
ტიხონის „საქმენი“

მოსკოვი 16 აპრილი. რუს. სტელეგრაფო სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ტიხონის საქმის შესახებ, იუსტიციის კომისარმა ამხ. კურსკიმ სთქვა: **ტიხონი ჩაუდგა კონტრ-რევოლიუციის სათავეში ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდან.** მას ჰქონდა აქტიური კავშირი ყველა ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან გენერალ კრასნოვიდან და დენიკინიდან დაწყებული გათავებული ისეთ წვრილფეხა კონტრ-რევოლიუციონერებით, როგორიც არიან, მაგალითად რიშონი და ალმაზოვი. სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის შესახებ დეკრეტის გამო მორწმუნეთადმი მოწოდებაში ტიხონი მოუწოდებდა მორწმუნეთ მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ აქტიურ და პასიურ წინააღმდეგობისაკენ. ამისათვის სხვა ადგილებში მოწყობილი იქნა სამრევლო და საეპარქიო საბჭოები, რომელთაც ტიხონი მოუწოდებდა მიეღოთ კონტრ რევოლიუციონური რეზოლიუციები და ზარების ხმებზე მოეწყოთ დემონსტრაციები ლიტანიის სახით. ამას შედეგათ მოყვა უწესოება მთელ რიგ ადგილებში. ტიხონს ჰქონდა აგრეთვე კავშირი უცხოეთის კონტრ-რევოლიუციასთან და დაადასტურა კარლოვიცაში მოწვეული საეკლესიო ყრილობა მონარქიული პროგრამით. **ტიხონი არა ერთხელ იყო გაფრთხილებული. საბჭოთა მთავრობა განისაზღვრებოდა მხოლოთ ასეთი გაფრთხილებით, იჩენდა დიდ მოთმინებას ეკლესიისადმი, მაგრამ მიუხედავათ ამისა ტიხონი არ ცხრებოდა.** ხელს უწყობდა რა ფეოდალურ-ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციას და საბჭოთა ხელისუფლების გაქარწყლებას და ამ მიზნით იყენებდა რა სტიქიურ უბედურებას—შიმშილობას, ტიხონმა საბჭოთა მთავრობის დეკრეტზე საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის შესახებ უპასუხა განსაკუთრებული მოწოდებით, რომელშიც უკრძალავდა განძეულობის გადაცემას და ემუქრებოდა ეკლესიიდან გარიცხვით და ამასთან მოუწოდებდა წინააღმდეგობისაკენ. ასეთ მოწოდების შედეგი იყო სისხლის მღვრელი გამოსვლები შუეში, სმოლენსკში და სხვა ადგილებში. საჯარო სასამართლო, დაამთავრა ამხ. კურსკიმ თავის საუბარი, პატრიარქ ტიხონის შესახებ გამოაშკარავებს ტიხონისა და მისი თანამოაზრეთა მოქმედების ყველა დეტალებს, რომელიც იყო ნაკარნახევი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით.

უცხოეთის ცხოვრება

ფოსტერის პროცესი.

საქმე ირჩევა პატარა ქალაქში ჯოზეფში, რომელიც მიყრუებულ ადგილას მდებარეობს და დაშორებულია ინდუსტრიალურ ცენტრებს. ამ ქალაქის 8 ათასი მცხოვრები შესდგება პატარა ფერმერების, ვაჭრების და ხელოსნებისაგან.

ბრალდებულები შეიკრიბნენ რამდენიმე თვის წინად ამერიკის კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო 76 დელეგატი. დელეგატების უმრავლესობამ, რომელსაც აცნობეს განზრახული თავდასხმა, მოასწრეს ყრილობის თავის დროზე დატოვება და მხოლოდ 17 კაცი იქნა დაპატიმრებული. წაიღეს აგრეთვე ყრილობის დიდძალი მასალა და ლიტერატურა. შემდეგ პოლიციამ მოახერხა კიდევ 5 კაცის დაპატიმრება, რომელთა შორის იყო კარგათ ცნობილი ამერიკის მუშათა მოძრაობაში ამხ. ვილიამ ფოსტერი, რამდენიმე რევოლიუციონურ წიგნების და ბროშიურების ავტორი, პროფინტერნის ამერიკულ სექციის წინამძღოლი.

კაპიტალისტურმა სასამართლომ გადასწყვიტა დასვას ფოსტერი, როგორც ყველაზე „საშიშარი კომუნისტი“ ბრალდებულის სკამზე. მისი საქმის დაბოლოვება გამოარკვევს დანარჩენების ბედსაც.

ფორმალურად ბრალდებულებს აბრალებენ „დანაშაულებს, სინდიკალიზმის“ კანონის დარღვევას.

როგორც პროკურატურას, ისე დამცველებს აქვთ უფლება დაჰკითხონ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები მათი პოლიტიკური შეხედულების გამოსარკვევად. აქ გამოირკვა სასამართლოს ნამდვილი ხასიათი. პროკურორი სხვათა შორის ასეთ საკითხებს აძლევდა კანდიდატებს: „აღიარებთ თუ არა თქვენ კერძო საკუთრების უფლებას? აღიარებთ თუ არა თქვენ, რომ მთავრობას აქვს დაკისრებული დაიცვას სხვა და სხვა პირთა კერძო საკუთრება? იწონებთ თუ არა თქვენ მართვა-გამგეობის საბჭოთა ფორმას? შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ამერიკაში მთავრობა უნდა იქნას ძალით ჩამოგდებული და შეცვლილი პროლეტარიატის დიქტატურით?“

დამცველები ეკითხებიან პროკურატურას: „იცით თუ არა თქვენ, რომ უნგრეთში კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ისე, რომ ძალა არ უხმარიათ,—რომ კაროლიის მთავრობამ თვით გადასცა ძალაუფლება საბჭოებს 1919 წ. მაგრამ არისტოკრატიამ და კაპიტალისტებმა, რუმინის არმიის დახმარებით გამოუცხადეს საბჭოებს ომი, რომელიც დასრულდა მათი დამხობით; თქვენ იცით, რომ ფინეთში სოციალისტებმა მოიხვეჭეს უმრავლესობის მიღება პარლამენტში, მაგრამ მათი მთავრობა შემდეგ იქნა ჩამოგდებული კაპიტალისტების მიერ; თქვენ იცით, რომ ამერიკაში სოციალისტებმა აირჩიეს დელეგატები ნიუ იორკის საკანონმდებლო პალატაში, მაგრამ ისინი გამორიცხეს პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა. იცით რა ყველა ეს ფაქტები, მოეპყრობით თუ არა თქვენ წინასწარი მოსაზრებით ვილიამ ფოსტერს, თუ აღმოჩნდა, რომ ის და კომუნისტები ფიქრობენ, რომ მუშათა და ფერმერების ბრძოლა კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ არ იქნება შესაძლებელი ძალის ხმარების გარეშე, თუ აღმოჩნდა, რომ კომუნისტები მხოლოდ წინასწარმეტყველებდენ ამ ძალის ხმარების აუცილებლობას მომავალში?“

ბრალდებულთა დამცველი ფრანკ მე-2-ე ვოლში, რომელიც ცნობილი ვექილია ამერიკაში, და რომელმაც ინახულა რუსეთი წარსული წლის ზაფხულზე, ეკითხება კანდიდატებს, იციან თუ არა მათ რას წარმოადგენს კომუნისტური ინტერნაციონალი საბჭოები და სხვ.?

აღმოჩნდა, რომ ნაფიც მსაჯულთა ბევრმა კანდიდატებმა ეს მართლაც არ იცოდენ.

იმ დროს, როდესაც კომუნისტებს ასამართლებენ „არალეგალობისათვის“, კომუნისტური პარტია აშკარად აწარმოებს გაძლიერებულ ბრძოლას არსებობის უფლების მოსაპოებლად. ამერიკის მუშათა პარტიამ უკანასკნელ თავის ყრილობაზე მიიღო წმინდა კომუნისტური პროგრამი და გამოაცხადა, რომ იგი ემხრობა კომუნისტებს, როგორც თანამგრძნობი პარტია.

მთელ ქვეყანაში დაარსდენ: „დაცვის მუშათა საბჭოები“, რომლენიც შესდგებიან პროფკავშირთა, სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციების და ლიბერალურ ელემენტების წარმომადგენლებისაგან. ქვეყნის მრავალ ინდუსტრიალურ ცენტრებში გაიმართა საპროტესტო მიტინგები კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

კრიზისი ნავოსნობაში.

თანდათანობით ფართოვდება კრიზისი ნავოსნობაში მთელი მისი შედეგებით: საფრახტო ბრძოლით მსხვილ კამპანიებს და მუშების უმუშევრობის შორის ომის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გემების აშენებას ყოველგან და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. ეს გრძელდებოდა 1919 წლამდე, როდესაც აშენებულ გემების რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა ომამდე არსებულ რაოდენობას და ოთხჯერ მათ მოცულობას. ამ ჟამად საერთო მსოფლიო სავაჭრო ფლოტი საგრძნობლად აღემატება ომამდე არსებულ ფლოტს. თუ ომამდე მოიპოვებოდა 24 444 გემი 45,4 მილიონ ტონა ტევნილობით, 1922 წ. 30 ივნისს გემების რიცხვი გაიზარდა 29,255-და, 61,3 მილ. ტონა ტევნილობით.

უკანასკნელი წლის განმავლობაში გემების აშენება გაცილებით ნაკლები იყო, ვინემ წინანდელ წლებში. აშენებული იყო სულ 852 გემი 2,407 მილ. ტონა ტევნილობით, ესე იგი გასულ წლის აშენებულის მხოლოდ ნახევარი. 1922 წლის დასასრულს ადგილი ჰქონდა ფრახტების მომატებას, ამერიკაში მრეწველობის გამოცოცხლების გამო.

განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს ღებულობს კრიზისი შეერთებულ შტატებში. აქ ომის დროს სასწრაფოდ აშენებდენ ფლოტს, რომელიც ახლა სავსებით გამოუსადეგარი შეიქნა. პირველ ყოვლისა აშენებული იყო ხის გემები, რომლებიც ფრახტიდან იმდენს ვერაფერს ღებულობენ, რომ დაფარონ ნახშირის ხარჯები, ამ გემების აშენება დაუჯდა სახელმწიფოს 250 (ტონა) მაშინ, როდესაც ასეთი გემების აშენება ინგლისში ახლა ჯდება 25—30 დოლარი, გერმანიაში კი კიდევ უფრო იაფი. ამ გემებს დიდ ხანს ინახავდენ სახელმწიფოს სუბსიდიების საშუალებით, ხოლო უკანასკნელის შეწყვეტას მოჰყვა მწვავე კრიზისი. ალბად, ამ გემების უმეტეს ნაწილს გაჰყიდიან ძველი რკინის სახით.

ჰაეროპლანი—ბომბების მსროლელი.

„მანჩესტერ გარდიანის“ ცნობით, ავიაციის სფეროში 1922 წელს ყველაზე საინტერესო მოვლენა არის 1000 ცხენის ძალიან მამოძრავებლის ჰაეროპლანის აგება; ეს არის ყველაზე ძლიერი ჰაეროპლანი მსოფლიოში,—ერთი მამოძრავებლით. ის გამოსადეგია შორეული გაფრენისათვის და მთლად ლითონისაგან არის გაკეთებული; სპეციალური ელექტრონული აპარატები მოწყობილი არის ეკიპაჟის ხელ-ფეხის გასათბობათ და იარაღების გაყინვის საწინააღმდეგოთ; ჰაეროპლანს ორი პილოტი მართავს, რომლებიც ერთმანეთის გვერდით სხედან.

ანტროპოლოგიური აღმოჩენა.

ინგლისის ერთ-ერთ კუნძულზე ნახულ იქნა ადამიანის თავის ქალა ქვის საუკუნის სამხარეულოს მეზობლად, რომელიც ავსილი იყო ლოკოკინებით. სერ არტურ კიტის აზრით, რომელიც ავტორიტეტული ანტროპოლოგია ინგლისში, ეს თავის ქალა ეკუთვნის დაახლოვებით 1500 წელს ქრისტეს დაბადებამდე. ეს ქალა განსხვავდება მით, რომ არა აქვს შუბლის ძვალი და მსგავსი არის ამით კუნძულ იავაზე ნახულ ტიპს.

აღმოჩენები გობის უდაბნოში.

მარტის პირველ რიცხვებში, მოსკოვში, ცნობილმა მოგზაურმა პ. კოზლოვმა წაიკითხა ლექცია მის მიერ გობის უდაბნოს ქვიშებში მკვდარი ქალაქის ხარა-ხოტოს აღმოჩენის შესახებ. პ. კოზლოვმა ვერ შესძლო შესვლა აღმოაჩინა მთელი ქალაქი, მრავალრიცხოვანი შენობებით, რომელთა შორის ერთში ნახულია მშვენივრად შენახული ბიბლიოთეკა 2500 ტომით, დაწერილი უცნობ ენაზე, მრავალი სამხატვრო ნაწარმოებნი, სურათები აბრეშუმზე და სხ. ამ კულტურას გამოუცნობ ხალხისას ამ ჟამათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემია სწავლობს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა უფართოვდება. მოსკოვი. 16 აპრ. ბუდაპეშტის ქალაქის წარმოებათა მუშების გაფიცვა ფართოვდება. პოლიციამ ალყა შემოარტყა ელექტრონის სადგურის შენობას და დააპატიმრა 180 კაცი. გაფიცული არიან აგრეთვე ქალაქის საკვების ფაბრიკების მუშები. გაფიცულების კრებებს სდევნის პოლიცია. გაფიცულ მუშებს შორის არიან აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალისტურ პროფკავშირების წევრებიც.

მომავალი გაფიცვა. პარიზი, 16 აპრილი, ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მუშათა პარტიის კონფერენციამ, რომელიც გაიმართა სტოკ-ნიუტონში, ლონდონის მახლობლად, მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს საყოველთაო გაფიცვას.

შეგირდების და დერციკების გაფიცვა. ლონდონი, 16 აპრილი, პარიზის მკერვალების და შეგირდების კრებამ დაადგინა განაგრძონ დაწყებული გაფიცვა, გაფიცულთა რიცხვი უდრის 7,000 კაცს.

ამიერ კავკასიის ცხოვრებაში

საქართველო

პედაგოგიური მუზეუმი. ახალ-სენაკი. 10 აპრილი. ახალ-სენაკის სახალხო განათლების განყოფილება ხსნის პედაგოგიურ მუზეუმს შემდეგი განყოფილებებით: ეტნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო—ისტორიული და საბავშვო ბაღი. მუზეუმს საჩვენებელი ხასიათი აქვს. ძალიან შესაძლებელია, რომ მუზეუმი მოძრავათ გადაკეთდეს, რათა ამ მუზეუმით შეეძლოს სარგებლობა რაიონებს: აბაშა, მარტვილს, ბანძას, სალხინოს, ძველ სენაკს, ნაძალადევსა და სხვებს.

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია. ახალ-სენაკი. 12 აპრილი. ბანდიტიზმთან ბრძოლა გრძელდება მთელს მაზრაში გაძლიერებული ტემპით. სამაზრო მილიცია ამ მხრით დიდ ენერგიას იჩენს. ამ დღეებში მოკლულია რამდენიმე ავაზაკი. ბანდიტები საბოლოვო დეზორგანიზაციას განიცდიან, მათი ბრბოები დამარცხებულნი არიან და ამ ჟამათ მხოლოთ ერთეულ დაცემებს ბედავენ, რომლებიც ბანდიტიზმის ლიკვიდაციის იმავე კამპანიის საშუალებით ამ დღეებში სრულიათ აღმოიფხვრება.

აზერბეიჯანი

სანატორიუმი. ბაქო. 15 აპრილი. 1 მაისს მარდაკანში იხსნება საუკეთესოთ მოწყობილი სანატორიუმი ქლექთან ავათმყოფთათვის.

ნავთნაწარმოებების გაზიდვა. ბაქო. 15 აპრილი. 10 და 11 აპრილიდან გაიზიდა ბაქოდან ასტრახანში 76.6000 ფ. ნავთნაწარმოებები. პეტროვსკიდან ასტრახანში გაზიდულია 80,027 ფ. პარაფინის ნავთი.

საჰაერო ფლოტისთვის. ბაქო. 15 აპრილი. საფინანსო უწყების მუშაკთა კომუჯრედმა გადარიცხა საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ სამი დღის ხელფასი. ქარხანა „კომინტერნი“-ს კომუჯრედმა გადასდო ფლოტის სასარგებლოთ ერთი დღის სამუშაო ხელფასი. შინამრეწველობის ხელოსანთა კავშირის პლენუმმა დაადგინა გადარიცხული იქნეს საწევრო გადასახადების 25 პროც. 6 თვის განმავლობაში, მოეწყოს ნებაყოფლობითი შეწირულება და კავშირის ხარჯით იქნეს შეძენილი ოქროს სესხის 25 ობლიგაცია და გადაეცეს საჰაერო ფლოტის ფონდს.

თურქული თეატრის 50 წლის თავი. ბაქო. 15 აპრილი. ყაზახში ადგილობრივ მუშათა და გლეხთა კლუბის ინიციატივით შესდგა თურქული სცენის 50 წლის თავის აღსანიშნავათ საზეიმო დღესასწაული.

ნავთის ფრონტზე. ბაქო. 15 აპრილი 10 აპრილიდან ამოღებულია ყველა სამრეწველოებიდან 58.5000 ფ. ნავთი. გადადებულია გამოსახდელათ 388000 ფ. გამოხდის შემდეგ მიღებულია 383000 ფ. გაწმენდილია 105000 ფ. გაბურვაში იყო 158 დაზგა, გაბურვეს 56 საჟენი. ამოღების შემცირება გამოწვეულია ელექტრონის ნაკადის შეწყვეტით რამდენიმე ხნის განმავლობაში.

მუშათა გაზეთის ზრდა. ბაქო. 15 აპრილი. გაზეთი „ბაქოს მუშა“ ბალახანაში ხსნის თავის რედაქციის განყოფილებას.

ბაქოს ტრამვაი. ბაქო. 15 აპრილი. საექიმო-სანიტარული მუშაკთა კავშირის კონფერენციამ ბაქოს ტრამვაის დაწყებულ შენობისათვის ხელის შეწყობის მიზნით დაადგინა ხელი მოაწერონ ოქროს მოგებიან სესხზე. უმაღლესი საექიმო პერსონალი იძენს თითო პირზე ორ ობლიგაციას, საშუალო—თითოს და დაბალი ნებაყოფლობით ან კოლლექტიურათ.

სომხეთი

სკოლის აღმშენებლობა. ერევანი. 15 აპრილი. ერევნის მაზრის 7 სოფელში შეუდგენ ახალი სკოლების აშენებას.

მორწყვა. ერევანი. 15 აპრილი. ერევნის მაზრაში დამთავრდა არხების გაწმენდა.

თესვის კამპანია. ერევანი 15 აპრილი. ერევნის მაზრაში დაიწყო საგაზაფხულო თესვის კამპანია.

კარაკლისი. 14 აპრილი კარაკლისის მაზრის თესვის კომიტეტმა [illegible] გლეხები [illegible] 70—80 პროცენტის რაოდენობით.

პარტიული ცხოვრება

ტექნიკუმის ლექტორები.

საქართველოს კ. პ. ტფილ. კომიტეტი აცხადებს მობილიზაციას ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებისა ლექციების საკითხავათ ტექნიკუმებში საბჭოთა აღმშენებლობისა და პოლიტიკურ ეკონომიის საგნებში:

1. სოლოვიანი, 2. თუმანოვი ს, 3. აგარონოვი, 4. ესსენი, 5. ბროდსკი, 6. სურხატიანი, 7. ხანოიანი, 8. კასიანი, 9 თუმანიანი აშოტი, 10. ვართაპეტხანი, 11. სოკოლოვსკი, 12. თალაკვაძე ისიდორე, 13. ოამიშვილი, 14. ჩიხლაძე სიმ., 15. რუხაძე, 16. ხაჭაპურიძე, 17. ოკუჯავა ნიკოლოზი, 18. მეძმარიაშვილი, 19. საყვარელიძე, 20. მარკარიანი, 21. დუბენსკი, 22. ნოვიკოვი, 23. კარტოზია, 24. ტოროშელიძე, 25. ლოსევი, 26. პეხიაკოვი, 27. მაშულაიშვილი, 28. ნენინოვი, 29. მიდვედევი, 30. ავაკოვი.

დასახელებული ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებაში სამი დღის ვადაში.

მდივნის მაგიერ ვ. ივანოვი.

სააგ.-საპროპ. განყოფილების გამგე მ. ესსენი.

მე-8, მე-9 და მე-10 რაიონის კომისარიატის კომჯაჩეიკაში
უპარტიოები მონაწილეობენ კომუნისტების მუშაობაში

პარასკევს 13 აპრილი ერთიანი პარტიული დღის საღამოს 6 საათზე შესდგა იაჩეიკის კრება უპარტიო ამხანაგების თანადასწრებით. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ლენის მუშების დახვრეტის შესახებ 1912 წ. 17 აპრილში.

მომხსენებლად გამოდის ამხ. ნ. ღლონტი, რომელიც ვრცლად ეხება საკითხს და აშუქებს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ლენის მაღაროების მუშების დახვრეტა და თუ რა მნიშვნელობა ქონდა ლენის მაღაროების მუშების გაფიცვას 1912 წელში რევოლიუციონური მოძრაობის გამოცოცხლებისათვის.

შემდეგ მოხსენებელის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისუფლების ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს.

მოხსენების შესახებ შემოდის მრავალ შეკითხვები, რომელზედაც ამხ. ღლონტი იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს.

თანამოხსენებლათ გამოვიდნენ ამხ. ტერაშვილი, გიგიური და სხვები რომლებმაც განმარტეს საკითხის მნიშვნელობა.

მეტად საყურადღებო ის არის რომ უპარტიო ამხანაგები ღებულობენ აქტიური მონაწილეობას ჩვენი პარტიული მეცადინეობაში; ასრულებენ ყოველივე დავალებას იაჩეიკისას პირნათლად: ყველა უპარტიო, მშრომელნო ამხანაგებო: მიბაძეთ მილიციის იაჩეიკასთან მომუშავე უპარტიო ამხანაგებს.

ა. ტ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(16 აპრილი)

ოქროს 10 მანეთიანი	10,600 ათ,
გირვანქა სტერლინგი	5,4000.
დოლარი	1.200.
ლირა	960.
საბჭოთა ფულის ნიშნები	14.

ვალიუტა ბათომში.
(15 აპრილს)

ლირა	870 ათასი.
გირვანქა სტერ.	690 პიასტრი.
დოლარი	147 პიასტ.
ოქროს 10 მან.	1.010 პიასტრ.

ვალიუტა ბაქოში.
(15 აპრილი)

10 მანეთიანი ოქრო	11,200 ათ.
გირვანქა სტერ.	7,784.
დოლარი	1,624.
ლირა	890.

ძვირფასი ლითონების კურსი.

ოქრო 96 სასინჯ.—8 მ. და 40 კაპ., ოქრო 56 სასინჯ.—1 მ. და 70 კაპ., ვერცხლი 84 სასინჯ.—6,75 კაპ. მანეთი ბანკის (ვერცხლი) 40 კაპ. მანეთი დასახურდავ. ვერცხ. 16,5 კაპ.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება
(16 აპრილი)

შაბათს შემდეგ დაიწყო კურსის აწევა. დაიკლო მხოლოდ საბჭოთა ფულის ნიშნ. კურსმა.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის ფასები.

თეთრი პური—25, ლობიო—12, ფქვილი ყუბანის—45, წუმწუმა—15, საპონი „ტოლუ“—120, საპონი მარმარილოს ადგ.—120, შაქრის ფხვნილი—180, ზეთი—100.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ლანჩა, ჩაი „სოსიფროსი“, საზზა, ჯაგრი, გოგირდი, შაქრის ფხვნილი იავა, რეზინის ნაწარმოები, რკინა, ლურსმანი, მანუფაქტურა რუსეთის, ბამბა, მატყლი, წუმწუმა რუსული, ცხვრის ტყავ-, ფქვილი ყუბანის, ფქვილი „ნელსონი“ და „დურუმი“ ბურღული, სარდინი, ყველი შვეიცარული, ბარები რკინის, ნაწლავები, სკიპიდარი, შაბიამანი, ცემენტი, შესახვევი ქაღალდი, ნარმა.

ბირჟის მოთხოვნილება.

თოკი, სოდა კაუსტ., ბერტოლეს მარილი, პარაფინი, მზესუმზირას ზეთი, ლურსმანი, წუმწუმა რუსული, საპნის სუროგატი, რეზინის ნაწარმოები, ხორბალი და პურის პროდუქტები, შაბიამანი, გოგირდი, მატყლი თუშური, საამშენებლო მასალები, ბარი რკინის.

ტფილისის ბაზრის ფასები.

ხორბალი ყუბანის—550—600, ადგილობრივი — 450— 470, ლობიო — 240—250, ფქვილი „ნელსონი“ ტომარა—9—9 ნახევ. ლირა. ყუბანის ფქვილი—ფუთი—1400, ადგილობრივი—660—670, შაქარი რაფინადი საზღვარგარეთელი—34 მან. ოქროთი, კარაქი—15.500, ერბო—9500, საპონი მარსელის—23—24 ლირა, საპონი—ადგილობრივი მარმარ.—5 მ.—5 მ. და 20 კაპ.

საქონლის ბაზრის განწყობილება
16 აპრილს.

ბაზრის [illegible] მოთხოვნილებას. ბაზარზე [illegible] და მასიური [illegible] ტები.

ოფიციალურ ბირჟაზე
(ერთი კვირის განმავლობაში)

10—14 აპრილამდე—ბირჟაზე გამოცხადდა 678 კაც. მოხდა სულ 228 გარიგება. აქედან 202 საფონდო და 26 საქონლის, ოქროს მანეთში გარიგება—104.125 მან. მყიდველებათ უმთავრესად იყვნენ კერძო პირები, ხოლო გამყიდველებათ—სახელმწიფო ორგანოები. შეძენილია ვალიუტა სახელმწიფო ორგანოების მიერ—56,540 (ოქრ. მან.) კოოპერატივების მიერ—2.760, საზოგად. ორგანიზ—8.765 და კერძო პირების მიერ—17 915. გაიყიდა ვალიუტა—სახელმწ. ორგანოებზე—56 540, კოოპერატ—2760, საზოგად. ორგანიზ.—8.765 და კერძო პირებზე—17.915.

სახელმწიფო ღვინის ტრესტში.

სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა ვეტცელის ყინულის, კრახმალის და ლუდის ქარხნის აღსადგენად. ქარხანა დაიწყებს მოქმედებას 10 დღის შემდეგ მუშაობის გასაძლიერებლად მოწყობილი იქნა კვირეული.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დაკვეთა გერმანიაში

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობა გერმანიაში იტყობინება, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამართველოს დაკვეთა, რომელიც მოხდა წარმომადგენლობის საშუალებით მთლიანად არის შესრულებული და ამ დღეებში გამოიგზავნება ტფილისში. დაკვეთა მოხდა საწერ მანქანების სათადარიგო ნაწილებზე, კინო-ლენტის ნეგატივსა და პოზიტივზე, აპარატებზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის მასალებზე, ტფილისის სამხედრო სასწავლებელთათვის წიგნებზე, საწვიმარ მოსასხამებზე, საათ-სეკუნდომეტრებზე და სახელოსნო საბურავი 2 დაზგაზე. დაკვეთის საქონლის ერთი ნაწილი გამოიგზავნება გემებით ჰამბურგიდან ბათუმში ამიერკავკასიის სახელმწ. ვაჭრობის სახელზე.

ამიერ-კავკასია და გერმანიის ბაზარი.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. მგალობლიშვილისაგან მიღებულ ცნობების თანახმად. გერმანია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ქვეყნის შიგნით დამზადებულ პროდუქტებზე დაბალ ფასების გამო, არის ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი მრავალ საქონლის შესაძენად, ისეთი საქონლის შესაძენად, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები და მატორები, ელექტრონის ხელსაწყონი, მედიკამენტები, ქიმიური პროდუქტები, საღებავები და სხვა. მაგრამ ჩვენი ნედლი მასალის გასასაღებლად გერმანიის ბაზარი არ წარმოადგენს დიდ ინტერესს გერმანიის კატასტროფიულ ეკონომიურ მდგომარეობის გამო, რომელიც გამოწვეულია უკანასკნელი პოლიტიკური გართულებით ამიერ-კავკასიის წარმოების ისეთი პროდუქტები, როგორიც არის აბრეშუმის პარკი, ნოხებზე, ხიზილალაზე, საბზაზე, ძვირფასი ხეტყის მასალაზე და სხვა თითქმის სრულიად არ არის მოთხოვნილება. გასაღდება მხოლოდ შავი ქვა, მანქანის ზეთი და სხვა ისეთი პროდუქტები, რომელიც საჭიროა გერმანიის მეტალურგიის და ქიმიური მრეწველობისათვის.

მაგრამ ყველა ჩვენი საქონელი, რომელიც არ საღდება გერმანიაში, შეიძლება იქნას გაყიდული სხვა ქვეყნებში ჰამბურგის საშუალებით, რომელიც თავისი მდგომარეობით, არის მსხვილი სავაჭრო ცენტრი მეზობელ ქვეყნებისათვის.

მატყლის შეძენა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გახსნა ტფილისში მოედანზე პუნქტი მატყლის შესასყიდათ.

თამბაქოს დამზადება აფხაზეთში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სოხუმის განყოფილება იტყობინება, რომ მეთამბაქოებთან მოლაპარაკებით იღებს თამბაქოს მეორე პარტიას. ამ ჟამად იტვირთება გემი „მიხეილ არხანგელი“. სოხუმში უკვე დატვირთულია 10.137 ფ. და 31 ნახ. გირ., გუდაუთში დაიტვირთება 6 199 ფ და 5 გირ., გაგრაში—10,000 ფუთი. სულ უკვე გამოტანილ 15.080 ფ. და 35 გირ. თამბაქოს ჩათვლით, მეთამბაქოებმა გამოგზავნეს ჩაისამდე დაახლოვებით 48.000 ფუთი თამბაქო.

ბათომის ნავთსადგურის ექსპლოატაცია.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ, დაადგინა მოიწონოს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ამხ. იშევის წინადადება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და მოხალისე ფლოტის მიერ [illegible] ნავსადგურის და საწყობის ექსპლოატაციის შესახებ. მოხალისე ფლოტთან მოლაპარაკებას უკვე შეუდგენ. ბათომის ნავთსადგურის შეკეთება საქართველოს ზღვის ტრანსპორტის სამმართველოსთან მოლაპარაკების თანახმად გრძელდება. დაპირებულ თანხიდან კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას სარემონტო მუშაობის საწარმოებლად გადაეცა 2 მილიარდი მანეთი.

შაქრის მომარაგება ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის სხდომაზე განხილული იყო რამოდენიმე დღის წინეთ საკითხი შაქრის რეალიზაციის შესახებ, რომელსაც ის იღებს შაქრის ტრესტისაგან თანახმათ ა. | წ. იანვრის ხელშეკრულებისა.

ვინაიდან რესპუბლიკაში ამ ჟამათ არსებობს ძველ საზღვარგარეთელ შაქრის დიდი მარაგი, რომლის წარმატებითი რეალიზაცია სავსებით, როგორც გამოირკვა, შეუძლებელია, დადგენილია წლიური ნორმა 800 ათას ფუთით განისაზღვროს.

შემდეგ, გადაწყვეტილია მიღებულ იქნეს ზომები გასაშვებ შაქრის ფასის ფიქსაციისათვის ოქროს მანეთებში: მაქსიმუმი ფუთი რაფინადი—8 მანეთი და მინიმუმი—4 მან. 50 კაპ. (შესაძლებელ ცვლილებებით საექციზო განაკვეთების მიხედვით).

ხელშეკრულების ძირითად საკითხების გამოსარკვევათ გადაწყვეტილია მოწვეულ იქნეს ტფილისში შაქრის ტრესტის წარმომადგენელი ბაქოში ამხ. დუკელსკი.

შაქრის რეალიზაცია ცალეულათ დადგენილია იწარმოვოს პირველ საფეხურის კოოპერატივების შუამავლობით, რომლებსაც შაქარი მიეცემა ვექსილის წესით, 3%-იან დაკლებით იმ ფასებზე, რომლითაც შაქარი კერძო პირებს მიეცემა.

რეალიზაციის ძირითად პირობების გამოსამუშავებლათ სასწრაფოთ მოწვეული იქნება თათბირი კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობით.

შაქრის გადაზიდვა და ამიერ-კავკასიის რკინის გზები.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მიმართა ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს შუამდგომლობით საექსპორტო მიმოსვლის მოწყობის შესახებ, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნეს გადაზიდვა რუსეთის შაქრის, რომელიც გადასცა სახელმწ. ვაჭრ. სამმართველოს შაქრის ტრესტმა რეალიზაციისათვის და აგრეთვე ამ შაქრის გადაზიდვისათვის შეღავათიან ტარიფის დაწესების შესახებ.

სახელმწ. ვაჭრობის სამმართველომ თავის მიმართვაში რკინის გზათა სამმართველოსადმი აღნიშნა ის სერიოზული საშიშროება, რომელიც მოელის რუსეთიდან მისაღებ შაქარს (წლიურათ 800 ათას ფუთამდე) მოსახლეობის მცირე სასყიდაო უნარიანობის გამო. მეორეს მხრით ჩვენს წინაშე ამ ჟამათ დგას ამოცანა რუსეთის შაქრის ძველ ბაზრების დაბრუნებისა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებიც დაპყრობილი აქვს ბოლო ხანებში ევროპის შაქარს.

ყოველივე ამას მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთის შაქრის ცალეულ ფასებთან, რომლების მდგომარეობა განისაზღვრება საქონლის თვითღირებულების სიმაღლით. თვითღირებულების დაკლება კი შესაძლებელია შაქარზე დამატებითი ხარჯების შემცირებით. უკანასკნელთ ეკუთვნის სატრანსპორტო, შაქრის გადაზიდვის მსხვილი ხარჯები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველომ აცნობა სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოს, რომ მისი შუამდგომლობა უარყოფილია.

უარისყოფა დასაბუთებული არ არის. ორთავე სამმართველოს მიწერ-მოწერა გადაცემულია განსახილველათ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომ-ის კომისიას, რომელმაც საკითხი სატარიფო კომიტეტში გადაიტანა.

უცხოეთის მევაჭრეებთა გეგმები სპარსეთის შესახებ.

საფრანგეთის ცნობილმა აბრეშუმის ფირმა „ფერრან გინტრანმა“ მიმართა საგარეო ვაჭრობის სახ კომ-ის წარმომადგენელს რომში შემდეგი წინადადებით:

ფირმა ფერრან-გინტრანს განზრახული აქვს გადაზიდოს სპარსეთში დიდი რაოდენობა აბრეშუმის თესლისა, დაახლოვებით 100-დან—200 ათას კოლოფამდე, თითო—25 გრამის წონით, ყოველ წლიურათ.

მეორეს მხრით ფირმას იმედი აქვს შეკრიბოს სპარსეთში აბრეშუმის პარკის მთელი რაოდენობა, ან ყოველ შემთხვევაში მისი უდიდესი ნაწილი, რომელიც გამოყვანილი იქნება ფირმის მიერ შეტანილ თესლიდან, და ეს პარკი ევროპაში გაზიდოს. იმის მაგიერ, რომ თესლი და პარკი შორეულ გზით გადაიზიდოს, ფირმას განზრახული აქვს ამ საქონლების გადატან-გადმოტანა მოაწყოს ტრანზიტით კავკასიაზე, სახელდობრ შემდეგი მარშრუტით: ენზელი-ბაქო-ბათომი.

ფირმას სურს ამ ტრანზიტის ორგანიზაცია ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს გადასცეს და ეკითხება კომისარიატს—

სთვლის თუ არა ის შესაძლებლად ასეთ ტრანზიტს თუ არა და, დადებით შემთხვევაში, როგორია კომისარიატის პირობები.

ფირმა „ფერრან-გინტრანის“ წინადადება გადაეცა დასკვნისათვის ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომ-თან არსებულ ეკონომიურ კონსულტაციის ბიუროს.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის აღდგენა.

ამიერ-კავკასიის ცაკ-თან არსებულმა საგანგებო კომიტეტმა დაუგზავნა ცნობისათვის ყველა დაინტერესებულ კომისარიატებს პროექტი ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის და სოფლის მრეწველობის აღდგენის და გლეხობისათვის სასოფლო სამეურნეო კრედიტისა.

პროექტს დასახული აქვს მიზნად ამიერ-კავკასიის ცაკ-თან სასოფლო-მეურნეობისა და სოფლის მრეწველობის დამხმარე ამიერ-კავკასიის კომიტეტის დაარსება ცაკ-ის თავმჯდომარესა და მისი ორი მოადგილეთა თავმჯდომარეობით.

კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ თითო წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის შემდეგი სახალხო კომისარიატებისა: ფინანსთა, სასურსათო, საგარეო ვაჭრობის, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკ ს ამიერ-კავკ. განყოფილების, ცენტროკავშირის ამიერ-კავკ. განყოფილების კომიტეტში შევლენ აგრეთვე პერსონალურად დანიშნული მცოდნე პირები და ამიერ-კავკასიის ცაკ-ის წევრები — გლეხები.

ცალკე რესპუბლიკებში ცაკ-ებთან დაარსებული უნდა იქნენ აგრეთვე რესპუბლიკანური კომიტეტები სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა ანალოგიურ შემადგენლობით. ადგილებზე ამიერ-კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელობით და მის გეგმებთან შეთანხმებულ რესპუბლიკანურ კომიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ დაარსებული იქნება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებები, რომელთა ორგანიზაციის წესი დაწვრილებით არის დასახული პროექტში.

დადგენილება და მისი საბოლოო რედაქცია გაკეთებული იქნება ცალკე დაინტერესებულ კომისარიატების მიერ პროექტის განხილვის შემდეგ.

საერთო ძალით
(ფაბრიკის ახაშენებლათ)

მრეწველობის აღმშენებლობის და განვითარების საქმეში ფინანსთა სახ. კომისარიატის კრედიტებს არ შეუძლია დააკმაყოფილოს რესპუბლიკების მოთხოვნილება იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა.

განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში, როდესაც რესპუბლიკები გადავიდნენ მშვიდობიან აღმშენებლობაზე, მთელი თავისი ძალები მიმართეს მათ პრაქტიკულ-საორგანიზაციო მხარესაკენ, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებისაგან განადგურებულ ფაბრიკა-ქარხნების, ყოველ გვარ წარმოებათა აღსადგენად, რომელთა ამუშავება არის ერთად ერთი საშუალება ნაყოფიერების აწევისათვის.

ასეთ მოვლენებს უფრო ცხადად ვამჩნევთ საბჭოთა რუსეთში. ჩვენში კი ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ცხოვრების მშვიდობიან აღმშენებლობაზე გადასვლის შემდეგ, არ შეიძლებოდა აღდგენის ჩარჩოებში დატოვება იმისა, რაც აქ იყო. საქართველო ისედაც ღარიბია საქარხნო წარმოების მხრივ, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე რომ არ არის არც ერთი ფაბრიკა არა თუ საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიაშიაც კი ამგვარი მოვლენა არ შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს. ამიერ-კავკასიაში აუარებელ ნედლ მასალას არ შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს პროლეტარიატის მდგომარეობა. ფაბრიკების უქონლობა გვაიძულებს გავიტანოთ ნედლი მასალა რუსეთში და საზღვარ-გარეთ გადასამუშავებლად.

დამზადებული მასალები არ მიდის პირდაპირ მომხმარებლის ხელში, არამედ [illegible] იგი ათეულ მყიდველების ხელში, მომხმარებლისათვის სრულიად მიუწდომელი ხდება მის შემოსავალთან შედარებით.

დღევანდელი საქმის ვითარება გადაჭრით მოითხოვს მთელ-რიგ საკუთარი ფაბრიკების გახსნას, რათა ამით სათანადო სიმაღლემდე ავიყვანოთ ესა თუ ის რესპუბლიკა.

ამ საქმეში თაოსნობა გამოიჩინა ქუთაისის მაზრამ, რომელმაც ხელი მოჰკიდა თამბაქოს ფაბრიკის დაარსების საქმეს.

მაგრამ ამ ფაბრიკამ დასაწყისშივე განიცადა ის, რაც მოსალოდნელიც იყო კრედიტის უქონლობის გამო.

ვიცით რა ამ ფაბრიკის მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის, ქუთაისის და მთელი საქართველოს მუშების და მოსამსახურეების ამოცანაა ყოველი ძალ-ღონით შეეცადონ საჭირო საშუალებათა გამონახვას, რათა ფაბრიკა გამოვიდეს შექმნილ მდგომარეობიდან. პროლეტარიატმა, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება და უკვე დაამტკიცა, რომ მას შეუძლია და მზად არის განაგოს სახელმწიფოს საქმეები, უნდა მორიგ ამოცანად დაისახოს ფაბრიკის მოწყობა თავისი ძალებით, თუ მთავრობას არ შეუძლია საჭირო სუბსიდიების გაცემა.

პროლეტარიატს სრული რწმენით უნდა ახსოვდეს, რომ არა მარტო კაპიტალისტებს შეუძლიათ ფაბრიკების აშენება არამედ პროლეტარიატსაც თავისი იდეური და მატერიალური დახმარებით შეუძლია მიაღწიოს მიზანს.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგეს ქუთაისის რკინისგზელებმა, რომელნიც, როგორც ერთი კაცი, გამოეხმაურენ ამ საქმეს და გადასდვეს თავიანთი ერთი დღის ხელფასი ფაბრიკის მოწყობის ფონდში.

მათ მიჰყვა სათბობ მასალათა მატერიალურ საწყობის მუშათა არტელი, რომელმაც შესწირა თვითეული წევრზე თითო მილიონი მანეთი.

რა უნდა ახსოვდეს საქართველოს ყველა მცხოვრებლებს.

„С миру по ниточке — голому рубашка“.

იმგვარათვე, როგორც ჩვენ ვიღებთ წვლილს საჰაერო ფლოტის, წითელი ფლოტის და იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელიც აალორძინებს საბჭოთა რესპუბლიკებს, ჩვენ უნდა მოვაწყოთ მრეწველობაც ჩვენივე საშუალებით.

კავშირთა, წარმოებათა და დაწესებულებათა ერთსულოვანი გამოხმაურებით, როგორი დიდიც არ უნდა იყოს საჭირო თანხა, იგი შეიძლება შეგროვდეს და კიდეც უნდა შეგროვდეს.

გადარიცხვათა შემკრები კომისიების ორგანიზაცია და მთელი ტექნიკური მხარე თავს უნდა იდვან ადმასკომებმა.

ს. ლიბაველი.

კოოპერაცია

კახეთის კოოპერატივთა კავშირი.

კახეთის კოოპერატიულ დაწესებულებათა კავშირი დღიდან თავისი რეორგანიზაციისა გასული წლის უკანასკნელი რიცხვებიდან შეუდგა კოოპერატივებში მრავალ დუქნიან სისტემის შემოღებას.

ახლად არჩეულ კავშირის გამგეობას მუშაობის პირველ ნაბიჯებიდანვე გადაეშალა წინ არა სასიამოვნო სურათი სრული დაშლილობისა.

ადგილობრივ კოოპერატიულ მოძრაობის მოდუნება არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ საერთოდ შექმნილ პირობების შედეგად; უმთავრესად ის ადგილობრივ მომუშავეთა გულგრილობით და უმოქმედობით აიხსნება. ზოგიერთი კოოპერატივი, რომელსაც კიდევ შერჩენია სიცოცხლე, უნდა უმადლოდეს კახეთის სარაიონო კავშირს, რომელიც მათ აძლევდა საქონელს და ყოველგვარ დახმარებას უწევდა. მაგრამ ზოგიერთმა კოოპერატივმა ვერ გამართლა ნდობა და საქონლის ნისიათ გაცემით მოახდინა არა მარტო თვით მკვლელობა, არამედ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა კახეთის კავშირი; უკანასკნელს ამის გამო მოუხდა ოპერაციების მინიმუმამდე შემცირება. კულტურულის და ტეხნიკურის ძალების, და საზოგადოდ კოოპერატორ მუშაკთა და ანგარიშის წარმოების მცოდნეთა სიმცირემ, გამოიწვია გაუგებრობა და საქმიების არევ-დარევა სოფლის კოოპერატივებში.

თუმცა ანგარიშებს ასწორებდნენ და აწარმოებდნენ კავშირის ინსტრუქტორები, და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მათ ძალღონე არ დაუზოგავთ, მაგრამ არა ხან გამოშვებით, ნაჩქარევათ მოსულ ინსტრუქტორს დაწვრილებით და სრულ ხისწორით არ შეეძლო ანგარიში ეწარმოებია მით უმეტეს, რომ აღნიშნულისათვის ხშირად სათანადო დოკუმენტებიც კი არ მოიპოვებოდა, რადგან ასეთებს გამგეობები ან კარგავდნენ ან და საჭიროდაც არ სთვლიდნენ მათ შენახვას. სარევიზიო კომისიები, ზოგიერთ გამონაკლისით, მხოლოდ ფორმალურად არსებობდნენ სოფლად. ამ გვარად ინსტრუქტორს უხდებოდა დაყრდნობა ნოქრის პატიოსნებასა და შეედგინა ინვენტარული ბალანსი, ხოლო მომავლისთვის სურვილი გამოეთქვა უფრო სწორი წარმოებისა.

იცოდა რა ეს კახეთის კავშირის გამგეობამ, უახლოეს მიზნად დაისახა მრავალ დუქნიანი სისტემის გატარება კოოპერატივების გაერთიანებით მათთან სამომხმარებლო საზოგადოებების გამგეობებში. ეს საქმე ამ დღეებში დამთავრებული იქნება.

სავალდებულო საყოველთაო წევრების ცხოვრებაში გატარება და პაის აკრეფა საგრძნობლად წასწევს წინ კოოპერატიულ მოძრაობის საქმეს და მხოლოდ მაშინ, მატერიალურად ღონიერნი გამოცდილ ტეხნიკურ ძალების შექმნის შემდეგ მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებები, მშრომელ გლეხობა მუშებზე დაყრდნობილნი, შესძლებენ არსებობას დამოუკიდებლათ და უშუალოდ შევლენ ცეკავშირში დ არ დასჭირდებათ სარაიონო კავშირების ხელმძღვანელობა.

მაგრამ სანამდისინ ეს არ მოხდარა, კახეთის კავშირი სთვლის რაიონულ კავშირების არსებობას საჭიროდ განსაკუთრებით კახეთში, რომელსაც ძალიან ცოტა მოეპოვება ამ დარგში გამოცდილი მომუშავენი. არ უნდა დავიჩქაროთ სარაიონო კავშირების გაუქმებას იმისთვის, რომ მთლიანი სამ. საზ. ჯერ კიდევ დიდხან მოითხოვენ დახმარებას ყოველ მხრივ. მათთვის ძნელია ცალ-ცალკე თბილისთან საქმის დაჭერა, რითაც გამოწვეული იქნება დიდი ხარჯები და კახეთის კავშირი განმანაწილებელ პუნქტის ფუნქციებს და სხვა მოვალეობებს უფრო შეასრულებენ. არ არის სასურველი კერძოთ კახეთის სარაიონო კავშირის გაუქმება იმ მხრივაც, რომ მისი წამოწყებანი სხვა ხელში გადასვლის გამო მიიღებს არა მარტო ზიანს, არამედ შეიძლება საბოლოოდაც ჩაკვდნენ.

გამგეობამ, რომელმაც ახლა მცირე ხანია რაც შეუდგა მუშაობას, გააცხოველა მუშაობა არა მარტო რაიონებში, არამედ ადგილობრივ ქ. თელავშიაც კავშირმა შეიძინა ორი მოტორი და წისქვილი, აწარმოებს მუშაობას უკვე ქონებულ საფეიქროს გასაუმჯობესებლად და ელექტრონის ძალაზე გადასაყვანად, ახლო მომავალში იქნება თავისი საკუთარი განათება, აიღო დასამუშავებლად ზვრები, სოფს მინდვრებს, აქვს სამჭედლო სახელოსნო „გუთანი“, შეიძინა აგრეთვე სამინდვრო სახელოსნო, რომელშიაც შეიძლება სხვა და სხვა ზომების ბოჩკების დამზადება ღვინისთვის.

ყველა ზემოხსენებული მოითხოვს დიდ ხარჯებს, მაგრამ როგორც იცით ძველმა გამგეობამ აქტივთან ერთად გადმოგვცა არა მცირედი ვალიც, რომლის გასტუმრების გამო გვიხდება ახალ წამოწყებების შემცირება ან უკეთეს პირობებისათვის გადადება. საჭიროა დახმარება ფულით, რომელიც გაღებული იქნება მოტორის წისქვილზე, საფეიქრო ქარხნებზე და საბონდროზე და სხვა. მოკლე ვადაში ის წარმოებით ანაზღაურებული იქნება, საკმაო ნაწარმოებს მიაწოდებს ადგილობრივ ბაზარს და აგრეთვე მისცემს ტფილისს ეგრედ ძალიან საჭირო ღვინის ჭურჭელს.

რომ საბოლოოდ გამართლებული იქნას მიზანშეწონილობა კახკავშირის დატოვებისა, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ სასურსათო კომ. ფუნქციები გადმოდის კახკავშირზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება აღნიშნულ საქმე-ი მთელ მაზრის ფარგლებში და ხელმძღვანელი პროვინციალურ მთლიან სამ. საზოგადოებების, რომლებთან სასურსათო კომის წარმომადგენელს არ შეეძლება ცალ-ცალკე საქმის დაჭერა და თუ ასეთიც მოხდა, მაშინ მას დასჭირდება სათანადო შტატი, რომლის შესამცირებლად ხდება აღნიშნული ფუნქციების გადმოცემა.

ისეთი პატარა რაი—კავშირები, როგორიც არის მაგალითად სამტრედიის, ლანჩხუთის და სხვა, სინამდვილეში თავის ფარგლებში იტევდნენ მომხმარებელთ და დუქნებს არა უმეტეს მრავალ დუქნიან კოოპერატივისა, მხოლოდ უშლიდნენ ხელს ადგილობრივ თვითშემოქმედებით მუშაობაში და წარმოადგენდნენ სრულიად ზედმეტ საფეხურს, რაც არ შეიძლება ითქვას კახკავშირზე. ის ხელმძღვანელობს თითქმის სამ მაზრის კოოპერატიულ მოძრაობას, რომელ რაიონის კულტურულ-ეკონომიურ ცენტრად ითვლება თელავი და მას საქონლის განაწილების დროს გვერდს ვერ აუვლით ისეთი დიდი რაიონი, რომელიც აქვს კახეთის კავშირს და რომლისაგან დიდძალი სურსათი, ღვინო და ნედლი მასალა გადის სხვა და სხვა მხარეებში, მოითხოვს ადგილობრივ ცენტრალურ ორგანიზაციას; ამიტომ კახეთის კავშირის არსებობა ჯერ-ჯერობით მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია. რომ საქონლის განმანაწილებელი კოოპერატივებზე მათი იდეური ხელმძღვანელი და ადგილობრივ ნაწარმოების მიღები—გადამგზავნელი იქნეს ცეკავშირის რწმუნებული, რომელსაც აუცილებლად დასჭირდება სათანადო შტატი თანამშრომლებისა მივიღებთ თვით სარაიონო კავშირს მხოლოდ სახელის გამოცვლით.

ირკა.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **ცირკულიარული მიწოდება.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ყველა მაზრის, ქალაქების და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს დაუგზავნა ცირკულიარი, რათა სტატისტიკურ სამმართველოს მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო აღწერის საჭიროებისათვის დამკვრელი წესით შეადგინონ.

1) სია დასახლებულ ადგილთა თემობრივ და 2) სია მოსახლეთა თითო სოფელში. შედგენილი სიები უნდა გადაეგზავნოს სამაზრო სტატბიუროში.

მიწად მოქმედების კომისარიატში.

— **ვაზის წამალი.** მიწად-მოქმედების კომისარიატი იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველყოს ვენახების სამკურნალო მასალებით. მასალები მცხოვრებლებისთვის დასარიგებლად გადაეცემა მაზრების აგრონომიულ განყოფილებას.

— **შეფობა.** გუშინ, 16 აპრილს, საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირმა დიდი ზეიმით მიიღო ტფილისში დაბანაკებულ კავკასიის ცალკე არმიის და საქართველოს წითელ არმიის ყველა ნაწილებზე კულტშეფობა.

ქალაქის აღმასკომში.

— **რძის ფერმა.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა წინადადება მიეცეს სარძეო ფერმის გამომცემლობას მიიღოს ზომები ფერმის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად ქალაქის აღმასკომის მირზოევისეულ მამულში.

— **ქალაქის გაშენება.** აღმასკომის სამიწად-მოქმედო განყოფილებამ დიღომში შეიძინა 1—6 დეს მიწა, რომელზედაც გაშენებული იქნება ვენახის და ხეხილის ბაღის და ბოსტანის თესლეულობისათვის.

დამზღვევ კასაში.

— **ბრძოლა ბავშვების სიკვდილიანობის წინააღმდეგ.** ამ უკანასკნელად ტფილისში საგრძნობლად გახშირდა ბავშვების სიკვდილი. მეტ წილად იხოცებიან ძუძუ-მწოვარა ბავშვები. ამის გამო დამზღვევ კასამ დაადგინა მიიღოს სასწრაფო ზომები ასეთ მდგომარეობის წინააღმდეგ. ყველა რაიონებში გაიხსნება საექიმო დახმარების პუნქტები და ბავშვების დედებს მიეცემათ სათანადო დახმარება.

— **წყლოსანთა შორის.** შავი ზღვის წყლოსანთა რაიონულ კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რათა დაარსებულ იქნას დამზღვევ კასასთან განსაკუთრებული ფონდი უმუშევართა სასარგებლოდ, აგრეთვე წყლოსანთა შორის კულტურულ მუშაობის განსავითარებლათ გადადებული იქნა განსაკუთრებული თანხა.

კოოპერაცია.

— **ახალი წიგნი.** ამიერ-კავკასიის კოოპ კავშირმა გამოსცა ამხ. ბაგდატიანის წიგნი „ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირი და მისი პერსპექტივები“, აღნიშნული წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და გაზეთის გამყიდველებთან.

— **კოოპერატიული წიგნის მაღაზიები.** მოსკოვის ცენტრ. კოოპ. გამომცემლობამ საქართველოს ამხანაგობა „წარმოკავშირს“ გადასცა თავისი წარმომადგენლობაში უფლება ამიერ-კავკასიის ფარგლებში კოოპერატიულ წიგნის მაღაზიების გასახსნელათ.

ს. წ. ჯ. საზოგადოებაში.

— **განყოფილებები.** წითელი ჯვრის საზოგადოების რწმუნებულათ დაინიშნა ფოთში ამხ. ექიმი მიქაბერიძე და ბათომში ამხ. ქორიაშვილი. მათ დაევალათ გაწიონ სათანადო მუშაობა საზოგადოებაში წევრების ჩასაწერათ მოიწვიონ მათი საზოგადო კრება და დაარსონ განყოფილებანი.

— **ბილეთების დაბეგვრა.** ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაბეგრილ იქნას ამიერ-კავკასიის საზღვრებში რკინის გზის სამგზავრო ბილეთები წითელი ჯვრის სასარგებლო გადასახადით და გაყოფილ იქნას თანასწორათ სამივე რესპუბლიკის წ. ჯ. ს. შორის თანასწორათ.

— **საკონსულო აქტები.** ამავე კომისართა საბჭოს დადგენილებით დაედვა 5 პროც. გადასახადი საკონსულო აქტებს წ. ჯ. საზოგადოების სასარგებლოთ,

სხვა და სხვა.

— **ლენინის სახელობის ახალშენი.** მუშათა სახლების სააღმშენებლო კოოპერატიულმა ამხანაგობა აცხადებს იმ მუშების საყურადღებოთ, რომელსაც სურთ მიიღონ ამხ. ლენინის სახელობის ახალშენში სახლი ეზოთი დაუყონებლივ უნდა ჩაეწეროს ხსენებულ ამხანაგობაში. სახლები მიეცემათ მხოლოდ პროფ. კავშირის წევრებს.

— **ჭლექთან მებრძოლი კვირეული.** ჭლექთან მებრძოლი კვირეული საქართველოში დაიწყება 11 მაისიდან. განზრახულია ამ დღისათვის გაიხსნას მონატორიუმები. მთელს რესპუბლიკაში შეკრებული იქნება შემოწირულებანი, გამოიცემა განსაკუთრებული პლაკატები, ბროშურები და სხ. ჭლექის გაჩენისა და მის მავნებლობაზე და აგრეთვე მოწოდებები მის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ხელოვნება

ვასო შარაშიძის ბენეფისი.
„სევილელი დალაქი“

მე ვფიქრობ ყველასათვის გასაგები იქნებოდა ბრწყინვალე გამოსვლა მსახიობ შარაშიძისა გუნოს ოპერა „ფაუსტში“ — მეფისტოფელის პარტიაში. ამ გამოსვლისთვის შესაძლებელი იყო გვეწოდებია მსახიობის ტრიუმფი და ყველა ჩვენ, დამფასებელნი ვასო შარაშიძის ნიჭისა მოველოდით, რომ თავის სამსახიობო დღესასწაულისათვის მომღერალი ამოირჩევდა საუკეთესო პარტიას თავის რეპერტუარიდან —პარტიის მეფისტოფელისას, რასაც შარაშიძე დიდებულად ასრულებს ევროპის მასშტაბით; მაგრამ ვხედავთ, რომ ნიჭიერი მომღერლის ბენეფისზე მიდის როსინის მართლაც რომ უკვდავი ოპერა „სევილელი დალაქი“ ბენეფიციანტის მიერ დონ-ბაზილიოს პარტიის ასრულებით. ამის ახსნა შეიძლება წმინდა სუბიექტიური საფუძვლებით: როგორც სჩანს მომღერალს თავის ბენეფისზე უნდოდა ოპერა დადგა ქართულ ენაზე. მიზანი კეთილია, მაგრამ შედეგი სატირალი, ვინაიდან ეს ოპერა ტფილისის სცენაზე მიდიოდა საოპერო დასის საუკეთესო ძალების მონაწილეობით და, რასაკვირველია, მომღერალთა ისეთ შემადგენლობას, რომელნიც გამოვიდნენ ოპერაში შარაშიძის ბენეფისზე, არ შეეძლო ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა. მე თავს შევიკავებ მსახიობ შარაშიძის მიერ დონ-ბაზილიოს პარტიის შესრულების დაწვრილებითი კრიტიკისაგან: ვიტყვი მხოლოდ რომ ეს პარტია არას შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მსახიობის მიერ დამუშავებულით. სწორედ ამიტომ ბენეფისისათვის არ უნდა ამერჩია, მით უმეტეს პარტია თხოულობს ხმის დიდ ტეხნიკას. მსახიობმა ვერ იმღერა კარგათ და სასცენო შესრულების მხრითაც ვერ დაასრულა პარტია სავსებით. „სევილელი დალაქის“ ამორჩევა საბენეფისოთ მით უმეტეს გასაკვირალია, რომ მომღერლის რეპერტუარში ისეთი დამუშავებული პარტიებია, როგორც ნილოკონტის, (ლაკმე) იგორის, მეფისტოფელის (ფაუსტი), მეწისქვილის (ალი). საზოგადოებამ მაინც დააფასა შარაშიძე ღირსეულათ და ძლიერ თბილადაც მიიღო. არ იყო ნაკლულევანება საბენეფისო მიძღვანშიც.

თარხანოვი ვერ ასრულებს ფიგაროს ძნელ პარტიას; მაგ. მთელი პირველი მართლაც, რომ ძლიერ ძნელი პარტიაა, რაც თხოულობს ბევრ მღერას parlando, რომელიც ხმის დიდ ტეხნიკას ითხოვს, მომღერალს ჯერ ხნობით ვერ დაუმუშავებია.

აგასოვა-კალანდაძე ნაკლებ დამაკმაყოფილებელია როზინის პარტიაში, რაც თხოულობს კოლორატურასაც და თავის ხმის უფრო თავისუფლათ მართვას.

ყულის ტემბრი კავსაძის ხმისა არ უხდება გრაფ ალბავინის პარტიას, რომელიც ითხოვს განვითარებულ ტეხნიკას და პირველი მოქმედების შუა ნაწილში კოლორატურასაც კი და bel-canto-ს.

მუსიკოსი.

სახალხო სახლი.

კვირა, 15 აპრილი.

კვლავ მინდა დაუბრუნდე სახალხო სახლს და ქართული დასის მოღვაწეობას. უკანასკნელი თვეების განმავლობაში სახალხო სახლის ქართული დრამის მაჯისცემა ძალზე შესუსტდა და ჩვენ აღფრთოვანებას, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს დასის განახლების და ძველი რევოლიუციონური სულის გაღვივების შესახებ, თანდათან ფრთები ეკვეცებოდა. სეზონის პირველი ნახევარი გამარჯვებულად უნდა ჩაითვალოს—მეორე ნახევრიდან იწყება გულ-გრილობა, აღარ არის დაცული მხატვრული მხარეები, ტიპების სრული განსახიერება, რეპერტუარის აღრევა და ნაცადი გზის ახვევა ასეთ მოვლინას ჰქონდა მიზეზები და მთავარი მიზეზი ჩვენ დრამის ბატონ-პატრონ გამგეობაში უნდა ვეძიოთ. როგორც გადმოგვცემენ ძველი შემადგენლობა გამოცვლილია. რომაული თქმულებით „ადამიანი როცა კვდება იმაზე ცუდს აღარ ამბობენ“ და ჩვენც აქ შევჩერდებით.

ახალი შემადგენლობა დიდ იმედებს იძლევა სამსონ ტოროშელიძე, აბელიოვი, დრამატურგი ნ. გურგესელი, მსახიობი ს. რომანიშვილი-დგებუაძია, სოლომონ ახვლედიანი, შათირიშვილი, და კ სალირაშვილი. აი ახალი შემადგენლობა, რომელთაც უყვართ ხელოვნება ესმით მისი მნიშვნელობა და იმედიც უნდა ვიქონიოთ მათი ენერგიული მუშაობით საქმე გამოსწორდება. პირველ წარმოდგენას ახალ ბატონ-პატრონის ხელში უკვე საქმიანობა ეტყობოდა. 15 აპრილს გამართეს დამსახურებულ მსახიობ ქალის თამარ გოგოლაშვილის საღამო. ტფილისის ფართო მასსამ იცის ვინ არის თამარ გოგოლაშვილი, ის არა ერთხელ დამტკბარა მისი დაკვირვებული თამაშით. თამარ გოგოლაშვილი 17 წელიწადია რაც სახალხო სცენას ემსახურება, მას ბევრჯელ დავიწყნია პირადი მე, ოჯახის საქმე და ხელოვნების სამსხვერპლოზე დამწვარა. წარმოადგინეს ყაზბეგის ელეონორა ნ. გურგესელის გადმოკეთებული და დავით კლდიაშვილის დარისპანის გასაჭირი, პიესა მოხდენილად არის გადმოკეთებული და მიუხედავათ იმისა, რომ ნაჩქარებათ დაიდგა, განსახიერება უაღრესად მხატვრული იყო, გოგოლაშვილი ცხოვრებაშიც ამაყი ელეონორაა და ამიტომ იყო, რომ მისი განსახიერება ბუნებრივი გამოდგა და დიდი ოვაციებიც დაიმსახურა. ადამიძე დღეს აღარ ადამიძობდა; კარგები იყვნენ გ. თაზიშვილი და ვ. ნინიძე. სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს „დარისპანის გასაჭირის“ დადგმა და ისეთი გაგება. ეს პიესა კლასიური სიღრმის არის და მისი გაშარჟება ყოვლად დაუშვებელია. აქ უეჭველად სიცილს ცრემლები უნდა მოსდევდეს და არა დაუსრულებელი ხარხარი. ს. რომანიშვილმა თავისებურათ გაიგო სოსიკოს როლი და სამწუხაროდ ვერ მიხვდა ავტორის სულისკვეთებას. ვასო აბაშიძე არ იყო თავის ქერქში. მაგრამ ამის მიზეზი დანარჩენ მოთამაშეებში უნდა ვეძიოთ, მას არ უწყობდნენ ხელს, რომ მთლიანი ყოფილიყო. კარგი იყო თ გოგოლაშვილი კაროლინას როლში, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ რომანიშვილს არ გადაემეტებია. საღამოს დიდი ხალხი დაესწრო და საჩუქრებიც ბევრი იყო.

ხელოვანი.

— **დირიჟორი ვანო ფალიაშვილის ბენეფისი.** ამ დღეებში, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ამავე თეატრის დამსახურებულ დირიჟორის ვანო ფალიაშვილის ბენეფისი. დადგმული იქნება პირველად „ლოენგრინი“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **საბავშვო თეატრის გახსნა.** შაბათს, 14 აპრილს, წითელ არმიელების ცენტ. კლუბში მოხდა საბავშვო თეატრის გახსნა. წარმოდგენის წინ ამხ. მამია ორახელაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა საბავშვო თეატრის მნიშვნელობის შესახებ. ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნა ნინო ნაკაშიძის მიერ თარგმნილი „ჯადოსანი წქვილა“.

— **ახალი დრამატიული წრე.** ფოსტა-ტელეგრაფის პროფკავშირთან დაარსდა დრამატიული წრე მუშებისაგან შემდგარი, რომელიც სისტემატიურათ დადგამს უფასო წარმოდგენებს თეატრ „სოლეილ“-ში აღნიშნულ კავშირის წევრებისათვის.

— **ეკლესია-თეატრად.** ზესტაფონის ადგილობრივი ეკლესია, გადაკეთებული იქნა თეატრად, რომელიც თავის სიფართოვით და მოყვანილობით სავსებით შეეფერება თეატრის მოთხოვნილებებს. საგაზაფხულო სეზონი გაიხსნა აღდგომის წინა-დღით, პატარა შაბათს, წარმოდგენილი იქნა ანტირელიგიოზური პიესები. წარმოდგენის წინ გაკეთებული იქნა მოხსენება ცრუმორწმუნეობის შესახებ. ხალხი აუარებელი დაესწრო

პროფკავშირებში

საქ. პროფკავშირთა საბჭოში.

სატარიფო ეკონომიური განყოფილება. საქ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების კოლეგიამ თავის სხდომაზე დაადგინა: აენაზღაუროს იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადაიყვანებიან, ბარგის გადასაზიდი ხარჯები—შემდეგი წესით: ოჯახის პატრონ მუშას მიეცეს 50 ფუთი ბარგის გადასატანი თანხა, მარტოხელს—10 ფ. ბარგის გადასატანი. ადგილკომებს ევალება ბარგის ნამდვილ წონის შემოწმება.

სამხრეთ-ოსეთის პროფკავშირებში.

მუშათა სახლი. სამხრეთ-ოსეთის პროფ-საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიმართოს თხოვნით საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტს, რათა სამხრეთ ოსეთში ერთი სახლი დაეთმოს მას „მუშათა სახლის“ მოსაწყობად.

კურსების გახსნა. უახლოეს მომავალში დაბა ცხინვალში გაიხსნება პროფესიონალური კურსები, რომლის მიზანია მოამზადოს პროფმოძრაობის პრაქტიკოსები.

ხე-ტყის დამმუშავებელთა კავშირში.

კავშირის წევრთა რაოდენობა. ამ ჟამად კავშირი აერთიანებს ქ. ტფილისში 8 საქარხნო კომიტეტს, ერთ გაერთიანებულ საფაბრიკო კომიტეტს 1 ადგილკომებს,—კავშირის წევრთა რიცხვი 316 კაცს უდრის. პროვინციაში კავშირი აერთიანებს ხე-ტყის ქარხნების სურამათოვის, ბორჯომის და საჩილაოს 3 საქარხნო კომიტეტს. სულ 251 წევრით. და 2 სამაზრო განყოფილების—ფოთის და ქუთაისის, სადაც 199 წევრი ითვლება. სულ რესპუბლიკის მასშტაბით კავშირში 766 წევრი ირიცხება.

ხუთი წლის არსებობის იუბილესათვის. კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებით ემზადება ხე-ტყის დამმუშავებელთა სრულიად რუსეთის კავშირის არსებობის ხუთი წლის იუბილესათვის, რომელიც გაიმართება მოსკოვში 15 მაისს. ამ მიზნით მან შეკრიბა საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელთა კავშირის ცხოვრების მასალები და გაუგზავნა ცენტრ. საიუბილეო კომისიას საიუბილეო კრებულში მოსათავსებლად.

პროფკავშირების მუშაობა ახალციხეში.

ახალციხეში იმყოფება შემდეგი წარმოებითი კავშირები: მელითონეთა, მეტყავეთა, დურგლების, საბჭოთა მოსამსახურეების, კომუნალურ მომუშავეთა, მედიკო-სანიტარული, განათლების მუშაკთა და კიდევ რამდენიმე წვრილი ადგილკომები. დაახლოებით პროფ-კავშირის წევრები აღწევს შვიდასამდე.

ორგანიზაციული მუშაობა აღნიშნულ კავშირებში სწარმოებს შედარებით დამაკმაყოფილებლად. ყოველ კავშირსა და მის წევრებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ყოველი წევრი გრძნობს თავისი კავშირის უდიდეს მნიშვნელობას, ამისათვის მტკიცედ არის ამომდგარი მის გვერდში და ასრულებს პირნათლად ყოველგვარ პროფესიონალურ მოვალეობას. ქალაქში ყოველ პროფ-კავშირის წევრს აქვს შესაძლებლობა მიმართოს თავის კავშირს დახმარებისათვის, ხოლო თემებში მომუშავე პროფ-კავშირის წევრები მანძილის სიშორის გამო ამას მოკლებულნი არიან ხშირათ. თემებში მომუშავე წევრებთან კავშირები მხოლოდ წერილობით და ცირკულიარების გაგზავნით იჭერენ კავშირს; თვით წევრები კი ქალაქში შემთხვევით ან საქმეების გამო ჩამოსვლის დროს შემოდიან თავიანთ კავშირებში და იჭერენ უშუალო კავშირს მასთან. მეტად ძნელია როგორც ორგანიზაციული კავშირის დაჭერა, ისე პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება ტყის მჭრელებში. ისინი გაბნეულნი არიან ტყეებში თითოეულათ და ტეხნიკურათ მეტად ძნელია მათთან რაიმე მუშაობის წარმოება. ჩვენ ვფიქრობთ დროებით, თუ შესაძლებელი იქნა, აქა იქ მოვხსნათ რამდენიმე ტყის მჭრელები, ჩამოვიყვანოთ ახალციხეში და ვაწარმოოთ მათში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა. ტეხნიკურათ თუ ეს ადგილობრივ მოხერხდა, მათი ცენტრალური პროფ-კავშირი ყოველგვარ დახმარებას გვპირდება.

საერთო პროფესიონალური მუშაობა რომ მიზანშეწონილათ სწარმოებდეს, ამისათვის საჭირო შეიქმნა ყოველ კვირეულათ მოგვეწვია კავშირების და ადგილ-კომების მდივნები სათათბიროთ. ეს თათბირები იმუშავებდა საერთო ხაზს მუშაობისას ყველა კავშირებისათვის და თან იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას ვერ შესძლებდა რომელიმე კავშირი, გადმოიტანდა აქ გადასაჭრელათ. ამ სათათბირო მდივნების ორგანოს მიეცა იურიდიული სახე და მისი გადაწყვეტილებანი სავალდებულო გახდა ყველა კავშირებისთვის. ეხლა ამ კავშირთაშორისო ორგანოს შემწეობით ს. პ. კ. ს. რწმუნებულს აქვს სრული შესაძლებლობა ნათელი წარმოდგენა იქონიოს ყოველი კავშირის მუშაობაზე და შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს. ეს კავშირთაშორისო ორგანო ერთი თვე და ნახევარია, რაც არსებობს.

აბასთუმანში საკურორტო სამმართველოს მოსამსახურეთა და მუშების ადგილ-კომი არსებობს. სამწუხაროთ უკანასკნელ ხანებამდე ადგილ კომი თავის დანიშნულების სიმაღლეზე არ იდგა. ადგილ-კომის თავმჯდომარეთ იყო ექიმი ქალი ტერიევა, რომელიც ამავ დროს იყო კურორტის სამმართველოს გამგის თანაშემწე და ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მუშა-მოსამსახურეების ინტერესი მოითხოვდა მათ გამოსარჩლებას და დაცვას და ადგილ-კომი კი სდუმდა. ასეთი საქციელი ადგილ-კომისა ამტკიცებს, რომ ის მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს ვერ ემსახურებოდა; ამისათვის გადაყენებულ იქმნა. რაც შეეხება კურორტთა სამმართველოს გამგეს, ინჟინერ ტატიშვილს, მისით კმაყოფილიარ არის არც ერთი მუშა და მრავალი ადგილობრივი მცხოვრებნიც კი. მუშებმა მოითხოვეს ინჟ ტატიშვილის „საქმიანობის“ ვრცლად გამორკვევა ადგილობრივ. ს. პ. კ. ს. რწმუნებულის მიერ გაგზავნილი იქმნა სპეციალურათ მედიკო სანიტარული კავშირის თავმჯდომარე ამხ. ექსუზიანი. როგორც მუშების და მცხოვრებლების დაკითხვიდან გამოირკვა, ინჟ. ტატიშვილი, გარდა იმისა, რომ მუშებს ეპყრობოდა მეტად უდიერათ და უხეშათ თავისი „საქმიანობის“ დროს, აქვს აქა იქ ბოროტმოქმედებანიც. ყოველი საქმეები მის შესახებ გადაეცა ს. პ. კ. საბჭოს სათანადო მსვლელობის მისაცემათ.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა ყოველ კავშირში სწარმოებდა ცალცალკე. პირველ თებერვლამდე კოლექტიური ხელშეკრულება იყო დადებული კომუნალურ მომუშავეთა მიერ ადგილობრივ სამაზრო აღმასკომთან, მაგრამ ეხლა აღმასკომი ყველა თავის მოსამსახურეებს მხოლოდ სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით აკმაყოფილებს. აღმასკომი ეხლა ამზადებს ხე-ტყის მასალას და გვპირდება, რომ მისი რეალიზაციის შემდეგ დავსდებ კოლექტიურ ხელშეკრულებასაო. ეხლა კოლექტიური ხელშეკრულება არსებობს მხოლოდ ერთიან მომხმარ. საზოგადოებასთან,

კულტურული მუშაობა ახალციხის პროფ კავშირებში აქამდე მეტად სუსტი იყო. მარტის პირველ რიცხვებიდან ყველა კავშირთა გაერთიანებულმა კულტ-კომისიამ დაიწყო ფაქტიური მუშაობა. დაიწყო საკლუბო მუშაობა. გახსნა სამი სკოლა: ორი სომხური და ერთიც ქართული, წერა-კითხვის არ მცოდნეთა ლიკვიდაციისათვის. შიგ სწავლობენ ასამდე წევრები, განსაკუთრებით შემდეგი კავშირებიდან: მელითონეთა, მეტყავეთა და დურგლების. მზადდება სიები პოლიტ-წრეებში სამეცადინოთ. ხელმძღვანელები წრეებისა უკვე დანიშნულნი არიან. არსებობს დრამატიულ წრეები: რუსული, ქართული და სომხური. კულტ-კომისიამ გამართა ერთი ფასიანი საღამო 18 მარტს ევროპაში რევოლიუციისათვის მებრძოლთა სასარგებლოთ. პროფ-კავშირის წევრთათვის შესვლა ღირდა 20-40 ათასი მანეთი. გაიმართა აგრეთვე უკანასკნელ ხანში საკლუბო ინტიმიური საღამო პროფ-კავშირის წევრთათვის (რასაკვირველია უფასოთ). აქ დაესწრო განსაკუთრებით მელითონენი, მეტყავეები და დურგლები. დანარჩენ კავშირის წევრებს ცოტა ერგოთ ბილეთები შენობის სივიწროვის გამო. გაიმართა საუბარი ყველა კავშირების წევრთა საერთო კრებაზე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ და აგრეთვე მდაბიო ენით დასურათებულ იქმნა საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის თანდათან გაძლიერება და ამავ დროს კაპიტალისტურ ქვეყნების ყოველმხრივი მდგომარეობის გამწვავება და უფსკრულისაკენ ჩქარის ტემპით დაქანება.

27 თებერვალს, 8 და 18 მარტს ყველა კავშირის წევრები მწყობრათ დემონსტრაციით მივიდნენ მიტინგისათვის დანიშნულ ადგილას და სათანადოთ აღნიშნეს ზემოდასახელებული დღესასწაულები.

ანტი-რელიგიური კამპანია სისტემატიურათ სწარმოებს და დიდებით გავლენას ახდენს ყველა წევრებზე.

კომუნისტური ორგანიზაცია უსაზღვრო ნდობით არის აღჭურვილი ყველა პროფ-კავშირის წევრების მიერ. ისინი ღრმად გრძნობენ და პრაქტიკულათაც დარწმუნდნენ, რომ მუშათაკლასის ერთად ერთი გულწრფელი და ერთგული ხელმძღვანელი არის პროლეტარულ მასსებს წიაღიდან გამოსული და კლასიურ ბრძოლების ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი კომუნისტური პარტია. კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და ეკონომიური პოლიტიკის მეოხებით ინასკვება მტკიცე კავშირი ქალაქისა და სოფლის მუშებს შორის და ეს კი არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არსებულ სოციალურ ურთიერთობის კომუნისტურ ნიადაგზე გარდაქმნისათვის.

პ. ხუნდაძე

წითელ ჯარში

მთლიანი სამხედრო კოოპერატივების დელეგატთა ყრილობა. 14 აპრილს ქ. ტფილისში გაიხსნა საქართველოს მთლიანი სამხედრო კოოპ. დელეგატების ყრილობა. ყრილობის მიზანია განხილვა საერთო მუშაობის ანგარიშისა, მუშაობის ახალი გეგმის მიღება, არჩევნები და სხვა.

— **წითელ დაფაზე.** 1-ლი ბატარეის წითელ არმიელნი მადლობას უგზავნიან მასწავლებელს ამხ ნიჟარაძეს, რომელმაც დიდი ენერგია და უნარი გამოიჩინა წითელ-არმიელებს შორის წერაკითხვის უცოდინარობის მოსასპობად, რისთვისაც მისი სახელი და გვარი დაიწერა წითელ დაფაზე.

— **გმირების დაბრუნება.** ათასეული, რომელიც ბანდიტების წინააღმდეგ იყო წასული და რომელმაც მოსპო ბანდიტების ბრბოები ხევსურეთსა და გურიაში, დაბრუნდა ტფილისში: სადგურზე მათ დახვდა უფ. შემადგენლობა სამხედრო მუსიკით.

— **„აღდგომა“ საკავშირო ასეულში.** საკავშირო ასეულში „აღდგომა“ დღეს სწარმოებდა მორიგი მეცადინეობა პარტ. წრის ხელმძღვანელობით; ამ დღეს წითელ-არმიელებმა გააცვნეს რელიგიური ცრუ-მორწმუნეობა.

— **გაზ. „წითელი არმიელის“ რედაქტორი.** გაზ. „წითელი არმიელის“ რედაქტორათ დაინიშნა ამხ. ლ. ზანტლაძე.

სამხედრო რევტრიბუნალში.

— **საქმის რაოდენობა,** ქართულ დივიზიის რევტრიბუნალში დღემდე შემოვიდა გასარჩევად 200 საქმემდე.

— **სესიის გამგზავრება.** რევტრიბუნალის სესია გაემგზავრა ქუთაისსა და ბათომში სამხედრო დამნაშავეთა საქმეების გასარჩევად. სესიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ლეკვიშვილი, კოლეგიის წევრებათ კი ამხ. ამხ. ჯვარიშეიშვილი და ბუჯიაშვილი.

— **გაფლანგვისათვის.** ამ დღეებში სამხედრო რევტრიბუნალი გაარჩევს № დივიზიის სასურსათო საწყობის გამგის კიკვაძის, წითელ-არმიელების მაგის, ვახტეხის და ქანდახიას საქმეებს, რომლებსაც ბრალდებათ მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა.

პარტიული მუშაობა.

მეორე ლეგიონის კომუჯრედი აწარმოებს გაცხოველებულ პარტიულ მუშაობას წითელ-არმიელებს შორის. უკანასკნელათ იკითხება ლექციები და იმართება საუბრები ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. არმიელებში განწყობილება ანტი-რელიგიურია.

პროვინციაში

ხაშური.

აგერ სამი თვეა, რაც ხაშურის რკინის გზის მუშებმა გამოიტანეს დადგენილება ერთხმად სადგ. ხაშურის ეკლესიის რკინის გზის უბნის პროფესიონალურ კავშირის კულტურულ განყოფილებაზე გადაცემის შესახებ. ეკლესიის დაკეტვა და ანტირელიგიოზურმა კამპანიაა სოფლებში გამოიწვია ერთი გაუგებრობა. მღვდლები და მენშევიკები დაძრწოდნენ გლეხობაში და ავრცელებდნენ ხმებს: აი ჩვენ, ხომ გეუბნებოდით კომუნისტებს და საბჭოთა მთავრობას ქრისტიანობის მოსპობა სურთ და ურიობის შემოღება, თორემ რისთვის ჩვენ გვაკეტინებენ ეკლესიებს და ურიებს არაო? მართლაც ბევრ შეუგნებელ გლეხობაში ამ პროვოკაციამ ცოტაოდენი ეჭვები დაბადა.

მაგრამ ამ ერთი კვირის წინ გამართულმა მიტინგმა ქალაქ სურამში დაარწმუნა გლეხობა და ლაგამი ამოსდო პირში პროვოკატორებს, სადაც როგორც მოხუცებულებმა, ისე ახალგაზრდებმა ერთხმად გამოიტანეს დადგენილება დახურულიყო ეკლესია სამლოცველო და გადასცემოდა სახლი ა. კომკავშირს, სადაც იმ დღესვე გახსნილი იქნა კლუბი. დასავლეთ საქართველოს არც ხაშურის რაიონი ჩამორჩა ა. | წ. 6—აპრილს გამართულმა მიტინგმა ქალაქ ხაშურში და მის ახლო სოფლებში მცხოვრებლების დიდ უმრავლესობამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუციები:

აგრეთვე ხცისის თემში თანახმად სოფლის გლეხობის დადგენილებისა დაიხურა რამოდენიმე ეკლესია.

ეხლა ხაშურის რაიონში დახურული შემდეგი ეკლესიები: ხაშურში ოთხი, ქალაში ერთი, ხცისში ერთი, წრომში ერთი, ახალსოფელში ერთი, გლუყურში ერთი, ქვიშხეთში ერთი, ტეზერში ერთი, ქალაქ სურამში ერთი, სოფ. ლებრუმაში ერთი. სულ 13 ეკლესია. მაგრამ საქმე მარტო ეკლესიების დაკეტვაში როდია; საჭიროა რასაც ვეუბნებით ჩვენ გლეხობას ის მივცეთ. დაკეტილ ეკლესიებში ჩვენ უნდა გავხსნათ თეატრები, კლუბები, სამკითხველოები და სკოლები, ეს გვესმის ხაშურელ ამხანაგებს და უკვე მიღებულია ზომები ამის სისრულეში მოსაყვანათ.

ა. ბაკურია.

ბორჯომი

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ამ უკანასკნელ ხანაში ძალზედ დატვირთული იყვნენ მუშაობით. დღის წესრიგში იდგა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, ეკლესიების და სარწმუნოების შესახებ. მთელ მაზრაში გაშლილი იყო სათანადო აგიტაცია. ყველა რაიონში რამდენ-

მუშათა ცხოვრება

ჯანმრთელობის კომისარიატის მუშა-თანამშრომელ ქალთა შორის.

ამა წლის 12 აპრილს ჯ. კომისარიატში შესდგა აღნიშნულ კომისარიატის მუშა-მოსამსახურე ქალთა მორიგი საზოგადო კრება. კრებისდა ნიშნულება იყო რამოდენიმე პოლიტიკურ საკითხის გაშუქება. საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვერემეიჩიკოვი შემდეგ თემაზე: „კომუნისტური ხელისუფლება და მისი დამოკიდებულება ქალთა საკითხთან“. თავის მოხსენებაში მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ იშვიათ ყურადღებას, რომელიც ექცევა ქალთა მშრომელ მასსას საბჭოთა ხელისუფლების მხრივ: მშობიარობის დროს მშრ. ქალის ჯანმრთელობისათვის საჭირო შეღავათებით აღჭურვა; ის ნივთიერი დახმარება, რომელიც ეძლევა მშობიარეს მაშინ და დიდხანს კიდევ მერე ბავშვის საკვებად; მრავლად გახსნილი საბავშვო სახლები დედათა და ბავშვის დაცვის ორგანიზაცია; ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისია, მეძაობასთან იდეური და პრაქტიკული ბრძოლა და მრავალი სხვა—აი ის თვალსაჩინო ფაქტები, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლებას სამართლიანად შეუძლია იამაყოს.

დასასრულ შემოსულ სხვა და სხვა შეკითხვებზე ამხ. ცომაიამ დასაბუთებული ახსნა-განმარტება მისცა მსმენელებს, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოითქვა ის აზრი, რომ ასეთი მოხსენებები სისტემატიურად ხდებოდეს მუშა ქალებს შორის მათი შეგნების სათანადო დონეზე ასაყვანად.

ინფ.-კორ.—ა. ნ.

სახელმწიფო ოპერის თეატრი.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აქ 296 კაცს შეადგენს. აქედან ფიზიკურად მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცამდე აღწევს, მუშები სხვა და სხვა ხელობის და თანამდებობის არიან: ზოგი მათგანი სცენაზე მუშაობს, ზოგიც დარაჯია და ზოგიც მკერავი (ქალები და ვაჟები). აქვე მუშაობენ ელექტრო-ტეხნიკები, მექანიკები. აქვე მუშაობენ რეკვიზიტორები და ბუტაფორისტები. მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობას უხდებათ როგორც დილით, ისე საღამოობითაც მუშაობა. სამუშაო დროის მტკიცედ განსაზღვრა თეატრის სპეციფიკური პირობების გამო, აქ მოუხერხებელი ხდება. საერთოდ, შეძლების დაგვარად, შრომის კანონები აქ არ ირღვევა. ყველა თავის ცოდნის, გამოცდილების და შრომის მიხედვით ღებულობს შრომის ხელფასს და თავის დროზე. სანიტარული პირობები აქ მტკიცედ არის დაცული. მხოლოდ სცენაზე ფიზიკურად მომუშავეთ უხდებათ მტვერში მძიმე დამქანცველი მუშაობა, მაგრამ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი ხდება. თეატრში ყოველ დღე მორიგეობენ ექიმები, რომელნიც ყოველ დაზიანებულისადმი დიდ ყურადღებას იჩენენ. მუშა მოსამსახურეთ ეძლევათ საჭირო წამლები ან უფასოთ და ან დაკლებულ ფასებში. მუშა-მოსამსახურენი მუშაობენ თანხმობით და არავითარ კონფლიქტს არც ადმინისტრაციასთან და არც მუშებს შორის ადგილი არა აქვს. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს როგორც მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, ისე მუშების პროფესიონალური ინტერესების დაცვაში თვით ადგილკომი, რომელზედაც თამამად ითქმის, რომ ის არსებობს ნამდვილად და მტკიცედაც სდგას მუშათა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

ინფ.—ჰენრიხ ლერბერგ

მუშათა ქრონიკა

მუშა-კორესპონდენტების კრება.

მიმდინარე წლის 15 აპრილს ჩვენი გაზეთის რედაქციის შენობაში შესდგა გაზეთ „კომუნისტი“-ს თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მეხუთე მორიგი კრება, რომელზედაც ხელმძღვანელებმა გააცნეს ამხ. მუშკორებს „მუშკლიხინის“ ცირკულიარი მუშათა პრესის და მასში მოღვაწე მუშა-კორესპონდენტების შესახებ. მასთან მიექცა ამხ. „მუშკორების“ ყურადღება იმ მოვალეობას და პასუხისმგებლობას, რაც მათ აწევთ ამ ცირკულიარის გამოქვეყნების შემდეგ თავის მუშაობაში.

ამის შემდეგ საჯაროდ წაკითხულ და განხილულ იქნა ზოგიერთ მუშკორების სავარჯიშო თხუზულებანი, რომლებიც იყო შედგენილი მათ მიერ რედაქციის წინასწარ და სპეციალურად გადმოცემულ ტემებზე. დანარჩენ თხუზულებებზე კრება იქონიებს მსჯელობას მომავალ კვირას, რა დროისთვისაც დანიშნულია **მუშკორების მე-6 კრება.**

კრებას დაესწრენ რამოდენიმე თანამგრძნობი მუშებიც, რომელთა შორის სამმა ამხანაგმა განაცხადა სურვილი—გახდენ მუშათა პრესის თანამშრომელნი, რის გამო ისინი შეტანილ იქნენ მუშკორების სიაში.

კრება დაიხურა დღის 1 ნახ. საათ.

დაუშვებელი მოვლენა.

ამა წლის 10 აპრილს შრომის ინსპექტორმა სუხორუკოვმა კავშირის წარმომადგენლის, ტეხნიკური ინსპექტორის მესტაევის და სანიტარიის ინსპექტორის გოლდმანის თანდასწრებით მოახდინა რევიზია ქიმიკური ქარხნისა, რომელიც მოთავსებულია ლენინის ქუჩაზე № 70 და აღმოაჩინა შემდეგი: აქ მუშაობს 4 ხელოსანი. ყველა კავშირის წევრებია, მათ აქვთ საანგარიშო წიგნაკები და დაზღვეულნიც არიან. მაგრამ აქაურ მუშებს არა აქვთ სპეციალური სამუშაო ტანსაცმელი და საკუთარ ტანსაცმელში მუშაობენ. შენობა, სადაც ქარხანაა მოთავსებული, სრულიად გამოუდეგარია და მუშების ჯანმრთელობისთვის მავნებელი და სახიფათო. აქაურ მუშებს უხდებათ მუშაობა თითქმის ლია ცის ქვეშ, რადგან ქარხნის შენობის სახურავი შეუკეთებელია და წვიმაც ჩამოდის, რის გამო მუშები ხშირად ავად ხდებიან. ქარხნის შენობა სრულიად დაძველებულია და საჭიროებს სასწრაფო რემონტს. თუ სააქციონერო საზოგადოება (ქარხნის პატრონი) რემონტს არ მოახდენს ამ მოკლე ხანში, ხსენებული ქარხანა აუცილებლად უნდა დაიხუროს, ვინაიდან ზემო-აღნიშნული პირობებით იქ მუშაობის წარმოება ყოვლად შეუწყნარებელია, რადგანაც მუშები იქ ნამდვილად სნეულდებიან და ნამდვილი ინვალიდები და ავადმყოფები ხდებიან.

ინფ.-კორ. ედგუჯა.

ჯერმე კრება გაიმართა, სადაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა.

გავრცელებულია ერთგვარი შეხედულება ჩვენს მაზრაზე. იძახიან ამ ხეობაში ხალხი საკმარისად არ არის განვითარებული და ამისათვის ჩამორჩენილიაო. სინამდვილემ კი სულ სხვა დაგვანახა.

ხალხი გაიძახდა „ეს ზომები მთავრობას ადრე უნდა მიეღო“. საქმე იმაშია, რომ სარწმუნოება კი არა ცრუ-მორწმუნეობა ყოფილა ყველა ის, რასაც ჩვენ ჩაგვძახიან. მიზანი კი გამოაშკარავდა მას შემდეგ, რაც გლეხკაცობას თავისუფალი ლაპარაკის საშუალება მიეცა. დღეს სამღვდელოება მოტყუებული დარჩა. არავითარი პატივის ცემა, ან გავლენა ხალხში აღარ აქვს. მიტინგზე ორატორებმა დაუპირდაპირეს სარწმუნოებას მეცნიერება. აგიტაციას ასეთი შედეგი მოჰყვა: მთელ მაზრაში საყდრები დაიხურა და სამღვდელოება ცხოვრების გარეშე, გარიყული დარჩა. არავინ არ იცავს მას. დადიან „ობლად“, და ნაწილობრივ შეეთვისენ საზოგადოებას. ბევრი მათგანი თავს ანებებს სოფელს და ჩამოდის [illegible] ადგილს და „ბირჟაში“ იწყება „გზა მშვიდობისა“ მიაძახებს გლეხი.

მაგრამ ადგილობრივი ორგანოები ამით არ კმაყოფილდებიან. მართალია ეკლესიები დაიხურა და სამღვდელოება დათხოვნილია, მაგრამ ცრუ-მორწმუნეობის შედეგებს შეუძლიანთ თავი იჩინონ. და აი ამისათვის საჭიროა გაორკეცებული ბრძოლა ზოგიერთ ელემენტებთან. ადგილობრივმა პარტკომმა და აღმასკომმა მიიღო სათანადო ზომები. მართავს პერიოდულად საუბარს გლეხებთან, ასამართლებს რელიგიას, აწყობს რაიონებში რეფერატებს, სადაც მონაწილეობას უპარტიო მოქალაქენიც ღებულობენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გლეხკაცობა ღრმად დაინტერესდა სარწმუნოების საკითხით.

გან—ვინი.

მოლითის თემი (შორაპნის მაზრა)

ა. წ. 5 აპრილს მოლითის თემის აღმასკომის ბინაზე შესდგა მთელი თემის მცხოვრებთა მიტინგი, რომელზედაც დაესწრო უმრავლესობა მცხოვრებლებისა. დღის 12 საათზე მიტინგი გახსნა თემკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ს. ტალახაძემ. საეკლესიო დღესასწაულების მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. სიმონ ცუცქირიძემ, რომელმაც გააშუქა საკითხი; მან აუხსნა მიტინგზე დამსწრეთ, თუ რა ზარალი მოსდით გლეხობას დღესასწაულების გადახდით და მოუწოდა, რათა ერთხელ და სამუდამოთ იქნას მოსპობილი დღესასწაულები. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მიტინგზე დამსწრე გლეხობაზე. ამის შემდეგ მთელი მიტინგის მიერ ერთხმად იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. სიმონ ცუცქირიძისა, ჩვენ მოლითის თემის გლეხობა აღფრთოვანებით ვეგებებით დღესასწაულების გადახდის მოსპობას და ვსთხოვთ ყველა ნათესავებს და მეგობრებს ნუღარ გვესტუმრებიან უქმეებზე. მიტინგი დაიხურა და ხალხი დიდის კმაყოფილებით დაიშალა.

ს. ცუცქირიძე.

ბრძოლა ბანდიტიზმის და ქურდობის წინააღმდეგ სენაკის მაზრაში

ახალ-სენაკის სამაზრო მილიციის საქმიანობა

სენაკის სამაზრო მილიციის მოღვაწეობა ამ უკანასკნელ თვეებში ღირს-შესანიშნავია. მას შემდეგ, რაც მილიციის უფროსად დაინიშნა ამხ. პეტრე ნადარეიშვილი, მილიცია თავგამოდებით იცავს მშრომელთა მშვიდობიან ცხოვრებას ყაჩაღებისა და ქურდ რეციდივისტებისაგან.

მართალია, სხვა მაზრებთან შედარებით სენაკის მაზრაში არც ისე ხშირი მოვლენა იყო ბანდიტიზმი, ყაჩაღობა და ქურდობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამას ადგილი ქონდა განსაკუთრებით მაზრის დასავლეთ ნაწილში—ზუგდიდის მაზრის მოსაზღვრე სოფლებში.

ამა წლის იანვრის დასაწყისში მაზრაში ითვლებოდა 16 ყაჩაღ-ბანდიტი. ამათგან 6 იქნა შეპყრობილი საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით, ამა წლის 16 თებერვალს დახვრეტილი (სია გამოცხადებული იყო გაზეთში); მას შემდეგ შეტაკების დროს მოკლულ იქნენ შემდეგი ყაჩაღები: 1) ხონელია ბაგრატი, 2) კიტია კოლია, 3) გარიჩავა ილარიონ, 4) გუგუნავა მიხეილი და 5) მიქავა ელიზბარი. ამ ჟამად ციხეში ზის სამი ყაჩაღი; დარჩენილია ორი თუ სამი ყაჩაღი და ამდენივე მათი წვრილფეხა ამყოლი. ქურდ-ბაცაცებიდან შეპყრობილია 27 კაცი. ყაჩაღების მიერ ნაძარცვი საქონელი აღმოჩენილია სამი მილიარდის ღირებულების.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ მილიციონერები თავგამოდებით იბრძვიან ყაჩაღების წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს სიმამაცე გამოიჩინეს შემდეგ მილიციონერებმა: 1) თვით მაზრის მილიციის უფროსმა პეტრე ნადარეიშვილმა, 2) სანდრო გვასალიამ, 3) გრიგოლ თოფურიამ, 4) ლადო მირცხულავამ, 5) ნოე გვაზავამ, 6) ღვნტორ ნადარეიშვილმა, 7) მიხა ლევაბერიამ, 8) სანდრო ლევაბერიამ, 9) ანტონ ფულარიამ და სხვებმა.

სხვათა შორის, მილიციის მიერ იქნა შეპყრობილი მენშევიკების პოლიტიკური ორგანიზაციაც თავისი რუქით ქურდ-ყაჩაღ ჯიქიძესთან ერთად (ჩანს, მენშევიკების ორგანიზაციას დიდი კავშირი ჰქონია ბანდიტებთან).

ყაჩაღთა ორგანიზაცია ამ ჟამად არ არსებობს; აქა-იქ მოხეტიალეთა დღე უკვე დათვლილია.

გ. ნ.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
ტფილისი 1923 წ.

ანტონ ლოგინოვი.
„მეცნიერება და საღმრთო წერილი“.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია, რომელიც ფართო მასშტაბით სწარმოებს საბჭოთა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, თავის შედეგებს ვერ მიაღწევს თუ შესაფერისი შინაარსის ლიტერატურა არ აღმოცენდა ქართულ ენაზე. უკანასკნელ დრომდე ასეთი სრულებით არ არსებობდა და მხოლოდ მომავალში უნდა ველოდეთ წმინდა მეცნიერულ და პოპულარულ ხასიათის წიგნების გამოსვლას სარწმუნოების წარმოშობის და განვითარების შესახებ.

ლოგინოვის წიგნი: „მეცნიერება და საღმრთო წერილი“, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცეკამ გამოსცა, მეტად თანადროულია და მის ქართულ ენაზე გამოსვლას სიხარულით შეხვდება ყველა, ვინც დაინტერესებულია სარწმუნოებრივი ფანატიზმის დამხობაში.

ლოგინოვი ეხება უმთავრესათ „ძველ აღთქმას“, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა ახალი აღთქმა, ანუ ქრისტიანობა. ებრაელთა კულტურამ კი თავის მხრივ სხვა ერების გავლენა განიცადა და სრულებითაც არ წარმოშობილა დამოუკიდებლათ. აშკარა სიცრუეა ის მტკიცება, თითქო „თვით ღმერთმა, უფალმა ჩვენმა ამცნო და მზა-მზარეულად გადასცა ფიცარზე დაწერილი მოსეს, სინას მთაზე შეხვედრის დროსაო“. წარმართული ჩვეულებები და წესები აშკარათ ეტყობა ქრისტიანობასაც და ამის დამამტკიცებელი ფაქტები მრავლათ მოყავს ავტორს თავის წიგნში. განხილულია ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო გადმოცემანი, როგორც ქვეყნის გაჩენის ისტორია, ადამ და ევას განდევნა სამოთხიდან, წარღვნის ისტორია და სხვა.

მოკლეთ, მაგრამ ნათლად არის განმარტებული „ქვეყნის შექმნის“ ისტორიის უაზრობა (22, 23 და 24 გვ.) „პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ნათელი, მეორე დღეს შექმნა სამყარო ცისა, მესამეს ქვეყანა (მიწა), მეოთხე დღეს მნათობნი („შექმ.“ I—14) რაღა განათება იყო საჭირო, თუ კი ღმერთმა პირველ დღეს შექმნა ნათელი“. თუ იყო პირველი, მეორე და მესამე დღე, მაშ ნათელიც ყოფილა. დღე ხომ უნათლოდ წარმოუდგენელია. „მზე რომ არ ყოფილიყო—არც დღე და ღამე იქნებოდა“. ყოველი ეს აშკარათ ამტკიცებს საღმრთო წერილის ავტორთა უვიცობას; თანამედროვე მეცნიერების ძლევამოსილ სხივებთან მთელი აბდაუბდა „ღვთისმეტყველთა“ დნება ისეთივე სისწრაფით, როგორც გაზაფხულის თოვლი.

„საღმრთო წერილი ის ის ხურჯინია, რომელმაც რამდენიმე პატრონი მოინელა და ხელიდან ხელში გადადიოდა. და ყველა, ვისაც იგი ხელში უვარდებოდა, იმით სტენიდა მას, რაც თვითონ მოსწონდა“. (87 გვ.) თანამედროვე მუშათა კლასს კი სრულებით არ სჭირდება ეს ხურჯინი და ისტორიის არქივს გადასცა იგი.

მეტად სასურველია ასეთი წიგნების გამოსვლა, და მათ გავრცელებას ხელი უნდა შეუწყონ ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

წიგნი შეიცავს 88 გვერდს და ტეხნიკური მხრით დამაკმაყოფილებელია. თარგმანი კარგია.

ვ. ლიბკნეხტი

მოგონებანი მარქსის შესახებ.

ევროპიულ ენებზე და რუსულზეც დიდი ლიტერატურა მოიპოვება მუშათა კლასის უდიდეს მასწავლებლის არა მარტო მეცნიერულ და რევოლიუციონურ მოღვაწეობაზე, არამედ თვით მის პიროვნების და ცხოვრების შესახებაც.

ვილჰელმ ლიბკნეხტის მოგონებანი მარქსის შესახებ მოკლეთ, მაგრამ ყოველმხრივათ გვაცნობს „კომუნისტურ მანიფესტის“ და „კაპიტალის“ დაუვიწყარი ავტორის ცხოვრებას. ვ. ლიბკნეხტი მარქსის ოჯახს გაეცნო ლონდონში კომუნისტურ განმანათლებელ ფერეინის საგაზაფხულო დღესასწაულზე და მას შემდეგ კავშირი არ გაუწყვეტია მასთან. ლიბკნეხტი მოგვითხრობს თუ როგორი იყო მარქსი პირად დამოკიდებულებაში ნაცნობ-მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, რა შთაბეჭდილებას სტოვებდა ის იმ წრეში, რომელშიაც ტრიალებდა. გადმოგვცემს მის შეხედულებებს იმ დროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, პარტიებზე, ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე.

მარქსი თავის ოჯახში, როგორც მამა; შვილებთან და ცოლთან დამოკიდებულებაში; პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა ცხოვრება,—ყველაფერ ამას იპოვის მკითხველი ამ წიგნში და მისი წაკითხვის შემდეგ უფრო ნათელ წარმოდგენას იქონიებს მსოფლიო პროლეტარიატის იმ უდიდეს და პირველ ბელადზე, რომლის მოძღვრება და ცხოვრება არასოდეს დავიწყებულ არ უნდა იქნეს და მით უმეტეს პროლეტარულ რევოლიუციის დროს. წიგნს დართული აქვს ლიბკნეხტის და მარქსის სურათები და შეიცავს 78 გვერდს.

ვ.

მენშევიკების განცხადება

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოთ შემდეგი:

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრნი, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ დღეის რიცხვიდან ვსტოვებთ ამ პარტიის რიგებს, ვინაიდან მისი მოქმედება განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში გამოიხატება აშკარა კავშირში ბურჟუაზიასთან და ყოველგვარ ჯურის ანტისაბჭოთა პარტიებთან და ბანდიტებთან, რომლებიც საფრთხეს უმზადებენ პროლეტარულ რევოლიუციას შეიარაღებული ანჯაყებით და ინტერვენციით.

1. დიმიტრი სიმონისძე ასამბაძე, 2. იულო სოფრომისძე წიქარიძე, 3. ტროფიმე ქიმის ძე ჟღენტი, 4 ერმილო იორდანის ძე პაიჭაძე, 5. ეროდი მახარაძე, 6 პახუმ თასონიძე უნგიაძე, 7. კოსტა გიორგის ძე პაიჭაძე, 8. ნიკო სოფრომის ძე უნგიაძე, 9 სოლომონ ჟღენტი, 10. პართენ ჩხიკვაძე, 11. თემურაზ ჩხიკვაძე, 12. იორდანე ჩხიკვაძე, 13. მელიტო ივანესძე პაიჭაძე, 14. ყარამან იოსების ძე ბოლქვაძე, 15. ილარი ალექსის ძე ჟღენტი, 16. ლუკა ამბაკოს ძე წიქარისძე, 17. ტარასი დიმიტრის ძე ჩიგოგიძე, 18. ნიკიფორე ბასილია 19. კოსტა თომას ძე ბასილაია 20. ვანო ალექსისძე კალანდაძე, 21. ნოვე სპირიდონისძე უნგიაძე, 22 ნესტორ ლევარსისძე შარაშენიძე, 23. ბესარიონ იროდისძე ჩიგოგიძე, 24. ერმილე სტეფანისძე ჩიგოგიძე, 25. ისაკი ბასილია, 26. ჯარისპან გიორგაძე, 27. ესე მჟავანაძე, 28. პავლე ჟღენტი, 29. ზალვა ბასილია, 30. გიორგი შევარდენისძე ბასილია. 31. აბესალო სოფრომისძე წიქარიძე, 32. ვალოდი წიქარიძე.

სოფ. ჯვარცხმა (ოზურგეთის მაზრა).

—

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი:

მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1905 წლიდან 1921 წლამდე და იმ წლიდან კი ჩამოვშორდი ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდან ხსენებული ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობა არ მიწარმოებია, და არც მომავალში ვაპირებ.

კონსტანტინე შაქ. წილოსანი.

—

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტ“-ში შემდეგ განცხადებას:

1907 წლიდან ვეწეროდი მენშევიკურ პარტიას. დღეის შემდეგ ვანებებ თავს, ყოველგვარ დამოკიდებულებას ამ პარტიასთან და ვრჩები ყოველგვარ პარტიის გარეშე.

მუშა ალექსანდრე გაბრიელაშვილი.

—

ამხ რედაქტორო! გთხოვთ გაზეთ „კომუნისტ“-ში მოათავსოთ შემდეგი

ჩვენ როგორც ვარკვევთ დღევანდელი ხელისუფლების მიზანია დაბეჩავებული მუშათა კლასის აღდგენა და მისი მტრების განადგურება. ამიტომ ჩვენ ვგმობთ, ვკიცხავთ ყველა იმ პარტიას, რომელიც წინააღმდეგია მუშათა და გლეხთა ბატონობის. ჩვენ მიგვაჩნია ის დიადი მიზანი, რომლისკენ მიისწრაფვის მუშურ-გლეხური მთავრობა. მოღალატეა, მუშათა ინტერესების გამყიდველი ყველა ის პარტია, სხვათაშორის „მენშევიკური“, რომელიც წინააღმდეგია მუშათა კლასის ბატონობის; ცდილობს მისი მთავრობის, ე. ი. მუშურ-გლეხურის ძირის გამოთხრას და მით ბურჟუაზიის გულის მოგებას. ჩვენ სავსებით თანაუგრძნობთ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც მუშურ-გლეხურის მთავრობას და მზათ ვართ შეძლებისდაგვარად აღმოუჩინოთ მას ყოველმხრივი დახმარება.

1) პარმენი გეგეჭკორი, 2) ალექსანდრე ჭალაკანიძე, 3) თედორე დანელიძე 4) სერგო მოწიაკა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი განცხადება: ზოგიერთ გაზეთებში შეცდომით იყო გამოქვეყნებული, რომ დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარე ამხ. ამბერკი ურუშაძე დანიშნულია იმავე ტრიბუნალის პროკურორათ, რის გამო ბევრ შემთხვევებში მას მიმართავენ, როგორც რევტრიბუნალის პროკურორს. ამისათვის, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ვაცხადებ პროკურორის დავალებით, რომ ამხ. ა. ურუშაძე დანიშნულია არა რევტრიბუნალის, არამედ დასავლეთ საქართველოს პროკურორათ.

დასავლეთ საქართველოს პროკურორის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი **სევ. მეძმარიაშვილი.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 87.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადასახადთა შესახებ 1922 წლის თებერვლის 5-ს გამოცემული დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.—

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადასახადთა შესახებ 1922 წ. თებერვლის 5-ს გამოცემულ დებულების მუხლი მე-2 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„იმ ფულად საშუალებათა რაოდენობის განსაზღვრისათვის, რაც საბჭოებს დასჭირდებათ ადგილობრივი ხასიათის ხარჯების დასაფარავად (ნუსხა იმ ხარჯებისა, რაც დაფარულ უნდა იქნეს, ადგილობრივი საშუალებით იხილე დამატებაში № 1), ქალაქისა და მაზრის საბჭო ვალდებულია შეადგინოს [illegible] ავალ-გასავლის ფინანსიური აღრიცხვა წლიური და საკვარტალო, ანუ სამთვიური“.

2. მუხლი მე-3 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„წლიური აღრიცხვა უნდა შეიცავდეს ყველა შემოსავალსა და გასავალს მთელი წლის განმავლობაში, ხოლო საკვარტალო აღრიცხვა ყველა შემოსავალსა და გასავალს სამი თვის განმავლობაში. პირველ კვარტალში შედის: იანვარი, თებერვალი და მარტი, მეორეში—აპრილი, მაისი და ივნისი, მესამეში—ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, მეოთხეში—ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი“.

3. მუხლი მე-5 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

4. მე-7 მუხლს დაემატოს თავში: „როგორც წლიურს, ისე საკვარტალოს“.

5. მუხლი მე-9 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ქალაქისა და მაზრის წლიური და საკვარტალო აღრიცხვა უნდა წარედგინოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის განყოფილებას, რომელიც დაამტკიცებს მის საუწყებათაშორისო კომისიაში განხილვის შემდეგ. ადგილობრივ ორგანოს უფლება ეძლევა განასაჩივროს კომისიის დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე კომისიის დადგენილება ძალაში რჩება“.

6. მუხლი მე-10 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში
ბ. ბიბინეიშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 10.
ტფილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ნუსხა

მარქსისტულ წრეების მეცადინეობისა
1923 წ. 15 აპრილიდან 23 აპრილამდე.

—1. ხუთშაბათს, 19 აპრილს, საღამოს 6-8 საათამდე წრე „განათლების მუშაკთა სახლის“ (რუსულ ენაზე) ხელმძღვანელი ამხ. სუროვენკოვი.

—2. ოთხშაბათს 18 და შაბათს 21 აპრილს საღამოს 6-8 საათ. მზრდველთა წრე (რუსულ ენაზე) ხელმძღვანელი მედვედიევი.

საქ. კ. პ. საგნ-საპრ. განყ.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში:

1. რიბაკოვი ალექსანდრე, 2. მირიმანოვი იოსები, 3 ბენიამინოვი ისაი, 4. გოგოშიძე ფილიპე, 5. შაგელი ლეონიდე, 6. არეშიძე მიხეილ, 7. ეჯუბოვი გიორგი, 8. კალმიკოვი კონსტანტინე; 9. დუმბაძე ევგენი, 10. არლოვ-მალახოვი ვასილ, 11. ლაშხია მიხეილ, 12. ანშელევიჩი იოსები, 13. კობერიძე ანდრია, 14. გლადკოვი რომანი.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ ვ. ივანოვი.

აღრიცხვა სტატისტიკური განყოფილების გ მგე: ვულფოვიჩი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტთან არსებული კომსტუდენტობის ცენტრალური ბიურო იწვევს სხდომაზე (სამშაბათს 16 აპრილს დღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის შენობაში) შემდეგ ამხანაგებს: შუშანიას, ბუაჩიძეს, კანდელაკს, მარო ორახელაშვილს, გუგუშვილს, ვულფოვიჩს, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კომიაჩეიკის მდივანს და საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელს.

დღის წესრიგი;

1. ტფილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა საბჭოს შესახებ.
2. კულტურული განყოფილების და სტუდენტთა ცენტრალური კლუბის ორგანიზაცია.
3. მიმდინარე საქმეები.

საკითხების დიდი მნიშვნელოვანობის გამო სხდომა არ გადაიდება. სავალდებულოა გამოცხადება.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ: სტეპანოვი.

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში: 1) რიბაკოვა ალექსანდრა, 2) მირიმანოვი იოსები, 3) ბენიამინოვი ისაი, 4) გოგოშიძე ფილიპე, 5) შემელი ლეონიდე, 6) არეშიძე მიხეილ, 7) ეჯუბოვი გიორგი, 8) კალმიკოვი კონსტანტინე, 9) დუმბაძე ევგენი, 10) არლოვ-მალახოვი ვასილ, 11) ლაშხია მიხეილ, 12) ანშელევიჩი იოსები, 13) კობერიძე ანდრია, 14) გლადკოვი რომანი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: ვ. ივანოვი.
აღრიცხვა-სტატისტიკურ განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

პროფესიული.

პროფკავშირთა კულტურული განყოფილება შეუდგა რა საქართველოში შრომის სამეცნიერო ორგანიზაციისათვის კაბინეტის მოწყობას, იწვევს თათბირზე ამ საკითხის შესახებ ამხ. ინჟინრებს—ოლეშკოს, გოდოროვსკის და ზავალინს, ექიმებს—სკოროდუმოვს და პინდოევს, პროფესორებს—ანფიმოვს და უზნაძეს, პედაგოგს—მოლოკოვის, პროფკავშირთა მუშაკებს—მიქაძეს, რუბცოვს, ამ-ბს ვერპას და ბირიუკოვს. თათბირი შესდგება ოთხშაბათს, 18 აპრილს 23 წელ. საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა წითელ დარბაზში (მუშათა სასახლე მეორე სართული).

„განათლების მუშაკთა სახლში“.

— სამშაბათს, 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე თვითმოქმედების და თვითმმართველობის ქვე-სექციაში; ამხ. ამხ. რებრუხის და ლომთაძის მოხსენება საკლუბო მუშაობის შესახებ.

— ოთხშაბათს, 18 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ისტორიულ ქვე-სექციაში: ჩურსინის ლექცია ს ქართველის შედარებითი ეთნოლოგიიდან.

საღამოს 7 საათზე იმავე ქვე-სექციაში: მასალები შრომის სკოლის მე-5 ჯგუფისათვის.

— პარასკევს, 20 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ფიზიკო-მათემატიკური ქვე-სექცია აწყობს მერვე ტეხნიკუმში ბალაბუევის მოხსენებას შემდეგ თემაზე: ელემენტი და მატერია თანამედროვე მეცნიერებაში.

ოთხშაბათობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტეხნიკურ თანამშრომლებთა, ქართულ ენაზე, მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

პარასკეობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტეხნიკურ თანამშრომლებთან, რუსულ ენაზე მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

— ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათზე: მეცადინეობა მარქსისტულ წრეში, ამხ. სუროვენკოს ხელმძღვანელობით.

განცხადებები

გულდამწვარი დედ-მამა ევგენი და შუშანა წულაძეები, ბაბუები სიმონ თოთიბაძე და მაქსიმე წულაძე, ბებია ნინო თოთიბაძისა, დეიდები თამარი, ქეთო და ვენერა და ბიძები სტრატონ, ანდრია და ნიკოლოზ თოთიბაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი

პატარა არჩილის

უდროოდ დაკარგვას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან ვერაზე და დაკრძალვა იქვე სასაფლაოზე დანიშნულია შაბათს, 17 აპრილს, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე.

დღეს, 17 აპრილს.
სახელმწიფო
ოპერა
იუ. დ. საბინინ[illegible]
გორის [illegible]
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
კრ. 327—1—1

სახლი
თავისუფალი ბინით. ვისაც სურს ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს ან გაჰყიდოს, მიმართოს დავიდოვის ქუჩ. № 8, ბინა 2, 11—2 ს. და 5—7 საათამდე. გოლოვინის ქუჩის გვერდით.
(526—1—1)

საქართველოს ტეხნიკური სამშენებლო ბიურო
სატსამშო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამშო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში,
ყველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—19

თანახმად ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა
წ. 7 აპრილის თარიღით, 15 აპრილიდან ქალაქის აბანოებში შემოღებულ

აბანო № 3 (ყოფ. სუმბათაშვილის)	
ნომრები: 1, 2, 3	850.000 მან.
საერთო	70.000 „
აბანო № 4 (ყოფ. არღუთინსკის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6	800.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 5 (ყოფ. ცოვიანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4	350 000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 6 (ყოფ. ფანტაზია)	
ნომრები: 1, 2, 3, 4	350 000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 7 (ყოფ. ერეკლეს და შალამოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10	850.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 8 (ყოფ. ორბელიანის)	
ნომრები: 1, 2. 4, 4, 5, 6	850 000 „
7, 8, 9, 10	800 000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 9 (ყოფ. მირზოევის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10	350 000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 13 (ყოფ. კარაჟევის)	
საერთო კაცების	80.000 „
აბანო № 14 (ყოფ. უნანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8	850.000 „
საერთო კაცების და ქალების	80.000 „

(კრ. 321 2—2)
ადმინისტრაცია.

ამიერ-კავკას. რკინის გზების სამმართველო

გადაზიდვათა ცენტრ. კომიტეტის დადგენილების შესაცვლელად (დეპეშა № 723-6913, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ზარია ვასტოკა“-ში № 179-178) აცხადებს, რომ როსტოვის საოლქო გადაზიდვათა კომიტეტის ა. წ. 27 მარტს № 3 დადგენილების თანახმად, უწყებებისათვის მინიჭებული უფლება გადაგზავნონ ტვირთები თავიანთ ნორმების ანგარიშში კერძო პირთა მისამართით გაუქმებულია და უწყების ტვირთები შეიძლება გადაგზავნილ იქნას უწყებების ნორმების ანგარიშში, მხოლოდ დაწესებულებათა, ორგანიზაციების და უწყების მისამართით. ამასთანავე რომელიმე დაწესებულების ან უწყების მიერ ტვირთების გადაგზავნის დროს მეორე უწყების ნორმის ანგარიშში და სხვა მისამართით საჭიროა გამგზავნელისაგან იმ უწყების მიერ მიცემულ მოწმობის წარმოდგენა, რომლის ნორმის ანგარიშშიაც იგზავნება ტვირთი. დანარჩენში გადაზიდვათა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამგზავნელის მიერ გაგზავნის სადგურზე მოწმობის წარდგენის და „გადაზიდვის ფურცელზე“ (ნაკლადნაია) იმ უწყების სახელწოდების აღნიშვნის შესახებ, რომლის ნორმის ანგარიშში სწარმოებს გადაზიდვა, რჩება ძალაში.

გადაზიდვათა ადგილობრივ ბიუროს თავმჯდომარის მაგიერ—**ლედერი.**
(კრ. 319 3—3)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
(501—25—9)

ქ. ტფილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულის დარია იაკობის ასულის ოდიშელიძის მემკვიდრეებს აღნიშნულ ოდიშელიძისა გარდაცვალების შემდეგ დანაშთ ქონებაზე ორი თვის განმავლობაში თავიანთი უფლებების განსაცხადებლათ.
(532 1—1)
მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

დაიკარგა ნიკოლოზ ფროლკოვის სახელზე განჯის აღმასკომის მიერ გაცემული პასპორტი № 1959. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(584 1—1)

დაიკარგა ალექსანდრე სერხოვის სახელზე ალტინის მაზრის სოფელ აუტის სოფლის საბჭოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(583 1—1)